პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 42
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.

ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 176 (1031) ოთხშაბათი 6 აგვისტო 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 4 კ. № 176 (1031)

დღიური

— ბრაზილიაში აჯანყება გრძელდება.
— რუმინეთში მოელიან მთავრობის გადადგომას.
— პოლონეთში დიდი წყალდიდობაა.
— ბულგარეთ-საბერძნეთის საზღვრებზე შეტაკებები ხდება.
— ბელგიაში დააპატიმრეს გერმანელი კომუნისტი [illegible].
— ინგლისში ჩავიდა საბჭოთა სამხედრო გემი.
— ფაშისტებს შორის უთანხმოება დაიწყო.
— ზემო-სილეზიაში მაღაროელთა გაფიცვა გრძელდება.
— ბულგარეთში მაკედონელთა გამოსვლები დაიწყო.

შრომის ბირჟები ახალ საფუძვლებზე

ჩვენში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირშიც, ამ ჟამად ტარდება შრომის ბირჟების რეორგანიზაცია.

პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ შრომის ბირჟების ძველი სისტემა არ არის სათანადოდ შეგუებული მეურნეობის და შრომის ბაზრის მოთხოვნილებებთან.

შრომის ბირჟა არსებითად უბრალო კანცელარიად გადაიქცა. ის აწარმოებდა შრომის მაძიებელთა რეგისტრაციას, მექანიკურად გზავნიდა ჩაწერილ მუშა ხელს სამუშაოზე, როცა მოთხოვნილება შემოვიდოდა; უმუშევრებს აძლევდა მოწმობებს მათთვის დაწესებულ სხვადასხვა შეღავათების მისაღებად.

ნაკლებად სჩანდა ცოცხალი, შემოქმედებითი მუშაობა შრომის ბაზრის მოსაწესრიგებლად.

მუშაობის ასეთ სისტემას თან ახლდა ბევრი ნაკლულევანებანი.

ვინაიდან შრომის ბირჟა შეღავათების გაცემის ფუნქციას ასრულებდა, ის აივსო ისეთი ელემენტებით, რომელნიც ეტანებოდნენ მას არა იმდენად სამუშაოს საშოვნელად, არამედ შეღავათების მისაღებად. ესენი იყვნენ შემთხვევითი და კვალიფიკაციის მოკლებული ელემენტები.

შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე ყოფნა თავისთავად არავითარ უფლებას არ უნდა იძლეოდეს შეღავათებზე.

შრომის ბირჟას სავსებით უნდა ჩამოერთვას შეღავათების გაცემის ფუნქცია და გადაეცეს პროფკავშირებს, რომელთაც სასტიკად უნდა დაიცვან ამ მხრივ უმუშევართა ინტერესები.

ეს ერთი ახალი მომენტთაგანია შრომის ბირჟების სისტემაში.

შემდეგ: შრომის ბირჟამ დღემდე ვერ მოახერხა კვალიფიკაციური მუშა-ხელის შერჩევის საკითხის გადაჭრა, სათანადოდ ვერ შესძლო აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევართა კვალიფიკაციის სისწორით და სავსებით გამორკვევა. ის ხშირად გზავნიდა ამა თუ იმ სამუშაოზე ნაკლებად დახელოვნებულ ან სრულებით გამოუსადეგ პირებს. ეს გარემოება აფერხებდა მეურნეობის აღორძინებას, შრომის ნაყოფიერების გაზრდას. ამ მიზეზით სამეურნეო ორგანოები ერთგვარი უკმაყოფილებით და უნდობლობით უყურებდნენ შრომის ბირჟას.

ამიტომაც, შემოღებულ იქნა წესი დახელოვნებულ (კვალიფიკაციონურ) მუშების (6 ხარისხზე ზევით) თავისუფალ დაქირავებისა, როგორც ბირჟაში გატარებულ უმუშევართა შემადგენლობიდან, ისე გარეშე პირებისა, თუ პირველთა შორის არ აღმოჩნდება შესაფერი მუშაკი,—შემდგომი სავალდებულო რეგისტრაციის წესით.

ამით ადვილდება შრომის ბირჟის მუშაობა მუშა-ხელის შერჩევის საქმეში, შერჩევას აწარმოებენ თვით დამქირავებელნი და პასუხისმგებლობაც ამისათვის მათ აწევებათ.

ასეთ ზომას ახლავს ზოგიერთი უარყოფითი მხარეც, მაგ., შესაძლებელია მუშა-ხელის არჩევის დროს ადგილი ექნეს მიკერძოებას, „ნათლიმამობას“.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის მხოლოდ დროებითი ზომა, სანამ შრომის ბირჟა მოაწესრიგებს მუშა-ხელის შერჩევის საქმეს. მაშინ, რა თქმა უნდა, შემდგომი რეგისტრაციის წესი უარყოფილი იქნება და ბირჟა სავსებით განახორციელებს საშუამავლო ფუნქციებს.

აგრეთვე დაშვებულია თავისუფალი დაქირავება შრომის ბირჟათა გარეშე ისეთ დროებით სამუშაოებზე (არა უმეტეს ორი კვირისა), რომელნიც არ მოითხოვენ კვალიფიციონურ შრომას.

ეს ზომა მიზნად ისახავს შრომის ბირჟის განთავისუფლებას ზედმეტი მუშაობისაგან, ხოლო სამეურნეო ორგანოებს საშუალებას აძლევს სწრაფად უზრუნველყონ მუშა-ხელით მიმდინარე საწარმოო მუშაობა.

საერთოდ, კერძოდ კი მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, შრომის ბირჟის წინაშე დღის წესრიგში დგას ამოცანა აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევრების გაცხრილვისა მიტმასნებულ და წარმოებისათვის გამოუსადეგარ ელემენტებისაგან.

უმუშევრები ორ კატეგორიად არიან დაყოფილი: პირველ ჯგუფს შეადგენენ: კავშირის წევრები—დახელოვნებულნი, დემობილიზაცია ქმნილნი და კვალიფიკაციური მუშაკნი. მეორე ჯგუფში ირიცხებიან ისინი, ვისაც არსად არ უმუშავნიათ, ან არა აქვთ საბუთები სამსახურში ნამყოფობის შესახებ. უკანასკნელი კატეგორიის უმუშევართა რიცხვი 15 ივლისისათვის უდრიდა 11,349 კაცს.

ბირჟა უნდა იქნეს განთავისუფლებული ამ ხალხისაგან, აგრეთვე უნდა მოხდეს გაცხრილვა პირველი ჯგუფისაც. ამით საგრძნობლად შემცირდება უმუშევართა ხელოვნურად გაბერილი არმია.

მაშინ დარჩება შერჩეული მუშა-ხელი, ისიც ბირჟაში უფრო ადვილად შესძლებს ნამდვილ საშუამავლო ფუნქციების შესრულებას და შრომის ბაზრის მოწესრიგებას.

მთელი ამ მუშაობის შესრულება მოითხოვს, რომ თვით შრომის ბირჟის აპარატი გახდეს უფრო მოქნილი და ცოცხალი, ვინემ ეს დღემდე იყო.

შრომის ბირჟის რეორგანიზაციას, მის გადასვლას შრომის შუამავლობის სისტემაზე, აქვს უაღრესი მნიშვნელობა ჩვენი მეურნეობისათვის, შრომის ბაზრის მოწესრიგებისათვის, უმუშევრობასთან ბრძოლის საქმისათვის.

ამასთან ეს მეტად რთული საკითხია. მის უმტკივნეულოდ და მიზანშეწონილად გადაჭრას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

წერილები სოფლის შესახებ

I

ჩვენი კოოპერაციის სნეული ადგილები

კოოპერაციაზე საკმაოდ ბევრი იწერება. ეს ასეც უნდა იყოს. იმდენად დიდი ამოცანები აქვს დაკისრებული კოოპერაციის დღევანდელ პირობებში, რომ მისი იდეის პოპულარიზაცია, დასახულ ამოცანების განსახორციელებელ საშუალებებსა და გზებზე მითითება, კოოპერატიულ მშენებლობაში შემჩნეულ ნაკლულევანებათა აღნუსხვა,—ხშირად და სისტემატიურად უნდა აწარმოოს ჩვენმა პრესამ.

დღეს ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ სოფლის კოოპერაციაზე, სახელდობრ მის ნაკლულევანებებზე.

გლეხობამ პირი იბრუნა კოოპერაციისაკენ, რომელსაც ბოლო დრომდე ალმაცერად, უნდობლად უყურებდა.

— კიდევ ერთი-ორი წელიწადი და კოოპერაცია შესძლებს გლეხის ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, კერძო ვაჭრობა კი მოისპობა საბოლოოდ,—ასეთია პროვინციაში საერთო განწყობილება.

კოოპერატივები ყველგან სავსეა ხალხით, საქონელიც ბლომად აწყვია და იყიდება გაცილებით იაფად, ვინემ კერძო ვაჭართან. უკანასკნელი კი თავ ჩაქინდრული ატუზულა თავის საკმაოდ დაცარიელებულ დუქნის წინ, ეგებ ვინმე შემოცდესო, მაგრამ ამაოდ: ნაკლებად თუ ვინმე ეკარება მას. ბევრ ალაგას მისი ჭაჭანებაც არ ისმის: ვერ გაუძლია კოოპერატივის კონკურენციისათვის და აბარგებულა თავისი გუდა-ნაბადით.

ყველაფერი ეს დიდებულია და სასიხარულო, მაგრამ, თავის-თავად ცხადია, რომ მიღწეული შედეგებით ვერ დავკმაყოფილდებით.

კოოპერაციის საფუძველი—ეს მშრომელი მასსის თვითმოქმედებაა, მისი აქტიური და შეგნებული შეკავშირება ამ ორგანიზაციაში, მისი განმტკიცების მიჩნევა თავის საკუთარ საქმედ.

არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ მდგომარეობა მაინც და მაინც სასურველი იყოს.

ჯერ კიდევ არ მომხდარა გლეხობის ორგანიული შედუღება კოოპერაციასთან.

გლეხობა ეტანება კოოპერატივს, რადგან იქ საქონელი შედარებით იაფად იყიდება, ხოლო თავისი ვალდებულებანი მისდამი არ აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი.

სათანადო ორგანოს გადაწყვეტილების თანახმად, რამოდენიმე მუშაკის მეცადინეობით, იხსნება კოოპერატივი სოფლად, ხელისუფლება და კოოპერატიული ცენტრი უწევენ მას ყოველგვარ დახმარებას, კრედიტის მიცემით, სხვა და სხვა შეღავათების მინიჭებით.

კოოპერატივიც იწყებს მოქმედებას, მაგრამ მის წარმართვაში გლეხობის უმრავლესობა არ იღებს აქტიურ მონაწილეობას. თუ იქ შეფერხდა საქმე, ჩვენი მომხმარებელი მასსა ამას აწერს მარტოოდენ კოოპერატივის მუშაკებს, ან ხსნის, როგორც გნებავთ მიზეზით, მაგრამ ამაში ნაკლებად გრძნობს პასუხისმგებლად თვითონ თავის თავს. ჩვენში სუსტადაა განვითარებული კოოპერატიული შეგნება, ის შეგნება, რომ კოოპერატივი თითეული მშრომელის და ყველასი ერთად საკუთარი ორგანიზაციაა, რომლის წარმატებას ის ისევე უნდა ცდილობდეს, როგორც პირადი, საოჯახო მეურნეობის გაუმჯობესება-გაფართოებას.

უამისოდ ჩვენი კოოპერაცია საკუთარ ფეხზე მკვიდრად ვერ დადგება.

ამით აიხსნება, რომ მცირეა კოოპერატივებში თავმოყრილ მასსის რაოდენობა. ინსპექციის გამოკვლევით, კოოპერატივის წევრთა საშუალო რიცხვი საქართველოში უდრის 300 კაცს. ეს საშუალო რიცხვია. მაგრამ არიან ისეთი კოოპერატივები, რომელთა წევრები თითზე ჩამოითვლებიან.

ამგვარად, მოსახლეობის დიდი ნაწილი კოოპერატივების გარეშეა დარჩენილი.

აგრეთვე ცუდათაა დაყენებული საპაიო გამოსაღების შეტანის საქმე. ინსპექციის მასალა პირდაპირ ამბობს, რომ საპაიო კამპანია საქართველოში ძალიან სუსტად ჩატარდა; ამ მხრივ თითქმის არაფერი გაკეთებულა. საპაიო და სხვა თანხის სიმცირე ხელს უბორკავს კოოპერატივს ფართედ გაშალოს მუშაობა.

ამით არ ამოიწურება ჩვენი კოოპერაციის „სნეული ადგილები“.

ჩვენ ძალიან ნაკლებად გვყავს მომზადებული და დღევანდელ პირობებში გამოსადეგი კოოპერატიული მუშაკები. საბჭოთა კოოპერაციის ბუნება და დღევანდელი რთული, დახლართული ეკონომიური ურთიერთობანი მოითხოვენ ახალი ტიპის კოოპერატორებს, რომელთაც სავსებით უნდა ჰქონდეთ შეგნებული ჩვენი კოოპერაციის წინაშე წამოჭრილი ამოცანები, და შესწევდეთ უნარი, გამოცდილება მათი გადასაჭრელად.

ამხ. ორაგველიძემ ამას წინად წამოაყენა აზრი კოოპერატორების მოსამზადებლად კურსების გახსნის შესახებ („კომუნისტი“ № 172). ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ წინადადების განხორციელება რაც შეიძლება დაჩქარებით. ეს საქმე უნდა იკისრონ კოოპერატიულმა ცენტრებმა.

უნდა მოვამზადოთ ადგილობრივი კოოპერატივების არა მარტო ხელმძღვანელები, არამედ უბრალო თანამშრომლებიც „ნოქრებიც“, რათა განვდევნოთ იქედან მოხელურ-ბიუროკრატიულ პსიქოლოგიით დაავადებული პირები, რომელნიც ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვებიან.

ამასთან საჭიროა ფართედ იქნან გამოყენებული ძველი, ნამდვილად უპარტიო, პატიოსანი კოოპერატორები, რომელნიც ეგუებიან თანამედროვე ვითარებას.

სწორედ გამოცდილ, ჩვენი თვალსაზრისით გამსჭვალულ და პატიოსან მუშაკების ნაკლებობა არის ერთ ერთი მიზეზი, რომ ზოგან კოოპერატივების მუშაობა ვერ მიმდინარეობს რიგიანად.

მაგ., ფოთიდან ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებდა („კომუნისტი“ № 170), იქაურ მომხმარებელ საზოგადოების რევიზიას აღმოუჩენია, რომ კოოპერატივს ექვსი თვის განმავლობაში უზარალნია 2.311 მ. კორესპონდენტი გვწერს: „ბოროტ-მოქმედებას თუ არა, საქმისადმი აშკარა გულგრილობას და დაუდევრობას ჰქონია ადგილი იმ ვაჟბატონების მხრივ, რომლებიც განაგებდნენ მას“. დამნაშავენი სარევიზიო კომისიას პასუხისგებაში მიუცია.

ეს ფაქტი საყურადღებოა. აქა-იქ კოოპერატივებში მოკალათებული არიან არა მარტო საქმის უცოდინარი და უნარს მოკლებული პირები, არამედ ისეთებიც, რომელნიც კოოპერატივს თვლიან თავიანთი ჯიბის გამავსებელ წყაროდ, არ ერიდებიან ბოროტ-მოქმედების ჩადენას, ხალხის ქონების მითვისებას.

ასეთი ელემენტები არამც თუ უნდა იქნან რკინის ცოცხით გამოხვეტილი კოოპერატივებიდან, არამედ სამაგალითოდ დასჯილნიც.

ამასთან აუცილებელია კანტროლის გაძლიერება კოოპერატივებში მომუშავე პირების მოქმედებაზე, როგორც უკანასკნელის მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, ისე ხალხის ქონების დაცვის მიზნით. უთავბოლობის და ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ მათი დანასჯა, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის; საჭიროა წინასწარ ზომების მიღება, რათა მათ არ ექნეთ ადგილი.

ბ. ქ.

(დასასრული იქნება)

მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ

[illegible] საკითხს (იხ. „კომუნისტი“ № 175) მივლინებით გამოწვეულ ხარჯების შემოკლების შესახებ. სანამ არსებითად ამ საკითხს გავარჩევდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამხ. კაჭარავა პატარა შეცდომაში შესულა. ის თავის წერილს ამყარებს საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს მიერ 1922 წლ. იანვარში გამოცემულ დადგენილება № 4-ზე. ეს დადგენილება დიდი ხანია გაუქმებულია. მისი არსებობის შესახებ აგერ ორი წელიწადი შესრულდება, რაც აღარავინ იცის რა. არც მივლინების ხარჯების საანგარიშოთ და არც საკამათოთ—ხსენებული დადგენილება გამოსადეგი აღარ არის. თუ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ბუღალტერია კიდევ ამ დადგენილებით ანგარიშობს მივლინების ჯილდოს, ამაში არ ვიცი ბრალი ვის ედება. მაგრამ ერთი გასაკვირველია, რატომ ასე კარგათ შენახულა იუსტიციის კომისარიატში ეს ძველი, გაუქმებული დადგენილება და ამავე დროს კი მათ გამოპარვიათ მივლინების ხარჯების კომპენსაციის შესახებ ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის ახალი დადგენილება № 57, რომელიც გამოქვეყნებული იყო 23 წლის 15 ივნისს. ეს რომ სხვა დაწესებულებას დამართოდა და არა იუსტიციის სახ. კომისარიატს, მაინცდამაინც დიდათ გასაკვირი არ იქნებოდა.

მაშასადამე, ამხ. კაჭარავას მიერ მოყვანილი დადგენილება არ არსებობს და, მივლინების საკითხების გარჩევის დროს, მას არ მივიღებთ მხედველობაში. გავარჩიოთ არსებითად წამოყენებული საკითხი.

ამხ. კაჭარავა აღნიშნავს, რომ მივლინებათა რიცხვი ძლიერ ბევრია. მაგალითისათვის ის იღებს იუსტიციის სახ. კომისარიატს და ამბობს, რომ ხდება მივლინება ინსტრუქტორების, პროკურორების და სხვების და რომ მივლინებათა რიცხვი 100-ზე მეტია.

ყველაფერი ეს კარგი. მაგრამ იბადება საკითხი, არის თუ არა შრომის კოდექსის მე-81-ე მუხლის ბრალი ამ მივლინებათა სიმრავლე? ყველა მივლინება ხომ არ შეიძლება მივლინებათ ჩაითვალოს? იმ პირებს, რომლებსაც თავის თანამდებობის ხასიათის გამო უხდებათ მივლინებაში ხშირათ ყოფნა, როგორც, მაგალითად ინსტრუქტორებს და სხვ. მივლინების ფულის მაგივრად უნდა ეძლეოდეთ ჯამაგირზე განსაზღვრული დამატება, იმისდამიხედვით, თუ როგორ ხშირად უხდებათ მათ მივლინებაში ყოფნა. ეს ასე ხდება ყველა იმ წარმოება-დაწესებულებებში, სადაც შრომის ორგანიზაცია საღ ნიადაგზე არის დაყენებული. შრომის კოდექსის არც 81-ე მუხლში და არც სხვა მუხლებში არ არის ნათქვამი, რომ მივლინების ფული ეძლეოდეთ იმ პირებს, რომელნიც თავის თანამდებობის მიხედვით ვალდებული არიან ხშირად იმო[illegible]ლობაში, ამხ. კაჭარავას მიერ მოყვანილ მივლინებათა რიცხვი განახევრდება.

მივლინებათა რიცხვის შემოკლება კიდევ შეიძლება, თუ მივლინების ხარჯების ანაზღაურებას ექნება საღი სამეურნეო თვალსაზრისი, რაც ნიშნავს იმას, რომ მივლინების ხარჯები უნდა ანაზღაურდეს „გასტროლიორობისათვის“ კი არა, არამედ ნამდვილ საქმიან მივლინებისათვის. როგორც წესი, ყველა ორგანო უნდა ამტკიცებდეს მივლინების ხარჯებს მას შემდეგ, როცა გამორკვეულია, გააკეთა თუარა მივლინებულმა ის, რაც მას უნდა გაეკეთებია. შრომის კოდექსი არავის არ ავალდებულებს ჯილდოს გაღებას უსაქმობისათვის და ტყუილა სიარულისათვის.

შემდეგ, ამხ. კაჭარავა ამბობს, რომ საჭიროა შემცირდეს მივლინების დღიური ნორმა და დაყვანილ იქნეს მინიმუმამდე. დღიურების (ჯამაგირის 1|24-ს) სიდიდეს ის ამტკიცებს თავისი მაგალითით. მეც ამხ. კაჭარავას მიერ მოყვანილ პირად მაგალითს დავეყრდნობი და ვიტყვი, რომ როგორც სჩანს ამ მაგალითიდან, ბევრს ჩვენ დაწესებულებაში მივლინების დღიურებს გადამეტებულად ანგარიშობენ. მაგალითად, ამხ. კაჭარავას მიუღია ერთი თვის მივლინებაში (23 წლის დამლევს) 213 მანეთი. როგორც ეტყობა, ეს ციფრი გამოანგარიშებულია ხელფასის სატარიფო განაკვეთიდან „ნაგრუზკი“-ს—დამატებით მაშინ, როცა ა|კ. შრომ. სახ. კომ. დადგენილება № 57-ის მე-5-ე მუხლი გარკვევით ლაპარაკობს: „სატარიფო განაკვეთის 1|24 ნაწილი“. თუ სწორად გამოიანგარიშებს ამხ. კაჭარავა დღიურებს, მაშინ ახლანდელი დღიურების ნორმა არც ისე დიდათ მოეჩვენება. გამოანგარიშების დროს კი უნდა აიღოთ მხოლოდ სატარიფო განაკვეთი „უნაგრუზკო“-თ.

რაც შეეხება მივლინებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორც „ორი გზობის ეტლის ქირა“, და სხვა, აქაც საჭიროა კანონის სწორად გაგება. დადგენილებაში ხაზგასმით არის ნაჩვენები, რომ უნდა ანაზღაურდეს „ფაქტიურად გაწეული ხარჯები“. ცხადია, არავის ფაქტიურ ხარჯათ არ ჩაეთვლება თბილისის სადგურამდე და სადგურიდან ეტლის დაქირავება, ვინაიდან აქ ტრამვაით უფრო ჩქარა და იოლად მიდიან. ასევე შეიძლება ითქვას ბათომის სადგურიდან ქალაქამდე (ორი ნაბიჯით არის დაშორებული) ეტლის ხარჯების შესახებ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დამტკიცებული იქნას ასეთი ხარჯი, თუ გინდ ფაქტიურად მივლინებულმა გასწია ასეთი ხარჯები. (მსურველს შეუძლია არც ერთი ნაბიჯი უეტლოთ არ გადადგას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას დაწესებულებამ ასეთი დანახარჯი უნდა აუნაზღაუროს).

ერთი კიდევ. ამხ. კაჭარავა წინადადებას იძლევა მივლინების დღიურების გამოანგარიშება ხდებოდეს იმისდამიხედვით, შორს ხდება მივლინება თუ ახლოს. ვეკითხები ამხ. კაჭარავას, რა განსხვავებაა ქ. ერევანში და ქ. ხარკოვში მივლინების შორის, გარდა რკინის გზის ხარჯებისა? ცხადია, რომ მარტო დროის ხანგრძლივობა და სხვა არაფერი. ამას კი არსებული დადგენილება მივლინებების შესახებ კარგათ უდგება; რამდენათ მეტი დრო სჭირდება მივლინებულს, იმდენი მეტი დღიური ეძლევა. ამიტომ არავითარი გრადაციების შემოღება მივლინებაში წასვლისათვის საჭირო არ არის.

ამ რიგათ ამხ. კაჭარავას მოსაზრებანი შრომის კოდექსის მე-81—მუხლის შეცვლის შესახებ სრულებით უსაფუძვლოა. საჭიროა მხოლოდ, რომ არსებული დადგენილება მივლინების შესახებ გამოყენებულ იქნას როგორც რიგია. თუ რომელიმე დაწესებულება მას დამახინჯებით იყენებს და ამით მივლინების ხარჯებს ზრდის, ამის მიზეზით არ შეიძლება მივლინების შესახებ არსებულ დადგენილების და შრომის კოდექსის 81-ე მუხლის შეცვლა. რაც უნდა კარგი არ იყოს ესა თუ ის დებულება, ის უვარგისად გახდება, თუ დამახინჯებულად იქნება გამოყენებული.

ს. გოდაბრელიძე.

მოკავშირეთა კონფერენციაზე

რურის საკითხი მოიხსნა კონფერენციის დღის წესრიგიდან

მოკავშირეთა შეთანხმების გამო ნიუ-იორკის ბირჟა კმაყოფილია

გერმანიის დელეგაცია ჩავიდა ლონდონში

პლენარული სხდომა

პარიზი, 4 აგვისტო. რეიტერის სააგენტოს ცნობებით, მოკავშირეთა კონფერენციის პლენარული სხდომა წარმატებით ჩატარდა; ფაქტიურათ ყველა ის საკითხები, რომლებიც კონფერენციის მუშაობას შეეხება, გამორკვეულია. პირველი და მესამე კომისიის მოხსენებები მიღებული იქნა კონფერენციის მიერ ზოგიერთი უმნიშვნელო შესწორებებით. საკითხი სარკინისგზო რეჟიმის შესახებ რურის ოლქში კონფერენციის მიერ განსახილველათ გადაეცა შიდ მთავარ დელეგატს.

ლონდონი, 4 აგვისტო. კონფერენციის პლენუმმა უკამათოთ მიიღო პირველი კომისიის მოხსენება გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა არ შესრულების საკითხის შესახებ.

მეორე კომისიის მოხსენების შესახებ მიღებული იქნა დადგენილება—**მოეთხოვოს გერმანიას იცნოს გადაცემი კომისიის უფლება იმაზე, რომ მან თავისი სურვილისამებრ გამოიყენოს გერმანიის ფონდები.** ამას გარდა, კონფერენციამ დაადგინა, რომ არც ერთ დაინტერესებულ სახელმწიფოს არ შეუძლია ცვლილების შეტანა დოუესის გეგმაში, თუ ეს ცვლილებები წინასწარ განხილული არ იქნება სარეპარაციო კომისიაში. იმ შემთხვევაში, თუ სარეპარაციო კომისია ერთხმად დაადგენს, რომ საჭიროა ამა თუ იმ ცვლილებების შეტანა ექსპერტთა გეგმაში და ამას არ დაეთანხმება გერმანია, მაშინ საკითხის შემდეგი გადაწყვეტის წესი რჩება ისეთივე, როგორც სანქციების მიმართ.

შემდეგ კონფერენციამ უკამათოთ მიიღო მესამე კომისიის მოხსენება.

საფრანგეთის წინადადებები მიიღეს

პარიზი. 3 აგვისტო. მოკავშირეთა კონფერენციის პლენარულ სხდომაზე ლონდონში **ერთხმად მიღებულ იქნა საფრანგეთის წინადადებები შეუსრულებლობის ფაქტის გამორკვევის წესის შესახებ.** სარედაქციო კომისიას დაევალა სამშაბათისათვის რედაქცია გაუკეთოს 3 ოქმს, რომელთა მიხედვით უნდა გატარებულ იქნეს ცხოვრებაში დოუესის გეგმა.

მთავარი საკითხი მოხსნეს

პარიზი. 4 აგვისტო. „სანქციების საკითხის შესახებ, რომელსაც გერმანელები კონფერენციის უმთავრეს საკითხად სთვლიან, არავითარი გადაწყვეტილება არ არის მიღებული; **გერმანელ დელეგატებს, თუ ისინი აღძრავენ ამ საკითხს, განუცხადებენ, რომ ეს არ შედის მათ კომპეტენციაში.**

აგრეთვე საკითხი რურის სამხედრო ევაკუაციის შესახებ გაქრა მოკავშირეების მიერ განსახილველ პროგრამიდან იმ წამსვე, როცა ფრანგებმა **ის დაუკავშირეს მოკავშირეთა** ვალების საკითხს; როგორც სჩანს, გერმანელებს უარს ეტყვიან ამ საკითხის განხილვაზე. ასეთ პირობებში კონფერენცია გერმანელ დელეგატების მონაწილეობით შეეხება მხოლოდ ტეხნიკური ხასიათის შეთანხმებებს, რომლებიც არც კი წარმოადგენენ ისეთ საკითხებს, რომელთა განხილვა აუცილებელი იყოს მოკავშირე მთავრობებისათვის; ისინი უნდა გაირჩეს გერმანელ დელეგატებსა და სარეპარაციო კომისიას შორის, როგორც, მაგალითად, საკითხი სარეპარაციო გადასახადების შესახებ.

რურის ევაკუაციის საკითხი

ნაუენი, 4 აგვისტო. მთავარი უთანხმოება გერმანიასა და მოკავშირეებს შორის, როგორც ფიქრობენ, დაიწყება რეინლანდის ზონის სამხედრო ევაკუაციის საკითხისა და გერმანიის რკინის გზის ხაზებზე მოკავშირეთა კონტროლის შეზღუდვის ნიადაგზე.

ევაკუაციის საკითხში გერმანია უარყოფს კომპრომისებს. გერმანიის მთავრობა ფიქრობს, რომ შეუძლებელია რეიხსტაგის და საზოგადოებრივი აზრის ნდობის მოპოვება სათანადო კანონპროექტების გატარების დროს—მოკავშირეთა სახელმწიფოების დაპირების გარეშე, რომ ევაკუაცია მოკლე დროის განმავლობაში დამთავრდება. **ამის გამო, გერმანიის მთავრობას არ შეუძლია დათანხმდეს ევაკუაციის ვადის გადადებაზე, რადგან ვერსალის ხელშეკრულების ძალით ევაკუაცია უნდა დაიწყოს 1925 წ. იანვარში**

ნაუენი, 5 აგვისტო. „ჟურნალ“-ის ცნობებით, რომელიც მიღებულია ვაშინგტონიდან, ამერიკა რურის დაუყოვნებლივ სამხედრო ევაკუაციას უცქერის, როგორც ერთ-ერთ პირობას, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს გერმანიის ეკონომიური მთლიანობის აღსადგენად.

სესხი გერმანიისათვის

ნაუენი. 4 აგვისტო, ნიუ-იორკის გაზეთების ცნობით, ნიუ-იორკის ბირჟაზე მეტად ოპტიმისტური განწყობილება შეიქმნა იმის შემდეგ, როცა მიღებულ იქნა ცნობა ლონდონში [illegible] შორის შეთანხმების [illegible] ევროპის ყველა ვალიუტაზე.

ბირჟის წრეებში დარწმუნებული არიან, რომ გერმანიის სესხი უკვე განაღდებული იქნება სექტემბრის ბოლოს.

ნაუენი 5 აგვისტო. ლონდონიდან მიღებული ცნობით, ამერიკის საბანკო წრეებში გადასწყვიტეს ხელი მოაწერონ გერმანიისათვის მისაცემი სესხის 50 პროცენტზე.

სესხის ნახევარი ნაწილი ამერიკაში განაწილდება

[illegible] ევროპიდან ჩამოსულ ფინანსისტების განცხადებას შესახებ იმისა, რომ გერმანიის სარეპარაციო სესხის ნახევარი განაწილდება ამერიკაში ერთი თვის განმავლობაში. სესხის პირობები ჯერ გამორკვეული არ არის.

გერმანელ დელეგატთა დირექტივები

ბერლინი, 4 აგვისტო. მინისტრთა საბჭომ ებერტის თავმჯდომარეობით განიხილა დირექტივები გერმანიის დელეგაციისთვის ლონდონის კონფერენციაზე. მინისტრთა საბჭოს დადგენილება გამოქვეყნებული არ არის, მაგრამ ოფიციალური ცნობიდან ძნელი არ არის იმის გამოცნობა, თუ რა ხაზს დაადგება გერმანიის დელეგაცია ლონდონში. გამოდის რა იმ თვალსაზრისიდან, რომ გერმანია მიწვეულია ლონდონში, როგორც თანასწორუფლებიანი სახელმწიფო, გერმანიის დელეგაცია გაილაშქრებს ზოგიერთ იმ გადაწყვეტილებების წინაალმდეგ, რომლებიც მიღებული იყო კონფერენციაზე. უპირველეს ყოვლისა **გერმანია უარს იტყვის საბოლოოთ მიიჩნიოს პირველი კომისიის დადგენილებები სანქციების საკითხის შესახებ.**

ბერლინში მიღებულ ცნობების თანახმად, ამერიკის ბანკირებს შორის არ არის ერთსულოვნება პირველი კომისიის გადაწყვეტილებების შესახებ; ამის გამო **გერმანიის წინააღმდეგობა ხელსაყრელი იქნება ბანკირთა ოპოზიციისათვის.** გერმანიის დელეგაცია მოითხოვს რურის ოლქის ეკონომიური ევაკუაციის ვადის უფრო ჩქარა დაწესებას და **გადაჭრით გაილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ დატოვებული იქნენ რურის ოლქში საფრანგეთ-ბელგიის რკინისგზელები 4,000 კაცის რაოდენობით.** გერმანიის დელეგაცია დაიცავს დოუესის გეგმას საფრანგეთის დელეგაციის უკანასკნელ წინადადებების წინააღმდეგ, რომლებიც შეეხება ნატურით მიწოდებების და სარეპარაციო გადასახადების განაწილებას და გადაჭრით გაილაშქრებს დაპყრობილი ოლქების სამი ვადის განმავლობაში დაცლის წინააღმდეგ. გერმანიას განზრახვა აქვს წამოაყენოს მთელი რიგი კონტრწინადადებები და იმედი აქვს, რომ ამერიკის ბანკირებთან ერთიანი ფრონტით გამოსვლით ის შესძლებს არსებითად შესცვალოს კონფერენციის გადაწყვეტილებების ხასიათი.

გერმანიის მიწვევა

გერმანიის დელეგაციის შემადგენლობა.

ჰანოვერი. 4 აგვისტო. გერმანიის დელეგაციაში, რომელსაც სამშაბათს დილით მოელიან ლონდონში, შედიან: **მარქსი, შტრეზემანი, ლიუტერი** და გერმანიის ცალკე სამინისტროების ექსპერტთა მთელი რიგი. დელეგაციის შემადგენლობაში შედის სულ 16 კაცი.

ბერლინი. 4 აგვისტო. გერმანიას [illegible] ქაღალდი.

გერმანიის დელეგაცია კონფერენციაზე.

ლონდონი. 6 აგვისტო: გერმანიის მთავრობამ შეიმუშავა დირექტივები გერმანიის დელეგაციისათვის ლონდონის კონფერენციაზე. დელეგაციას მინიჭებული აქვს ფართო უფლებები.

გერმანიის დელეგაციის გამგზავრება ლონდონში.

ნაუენი. 5 აგვისტო. გერმანიის დელეგაცია გაემგზავრა ლონდონში კვირა დილით. მოკავშირეებისგან მიწვევის ბარათი მიღებულ იქნა შაბათს ღამით.

მოკავშირეების წარმომადგენლების და გერმანიის დელეგაციის პირველი გაერთიანებული სხდომა შესდგება სამშაბათს.

ბერლინში დარწმუნებული არიან, რომ გადაწყვეტილებები ყველა საკითხების შესახებ მიღებული იქნება მიმდინარე კვირის დასასრულს.

გერმანიის დელეგაცია ლონდონში.

პარიზი. 5 აგვისტო. პარიზის გაზეთები დაწვრილებით არჩევენ გერმანიის დელეგაციის [illegible] მოკავშირეებს გამოიჩინონ ზომიერება გერმანიის მიმართ.

„პტი ჟურნალ“-ი იუწყება, რომ გერმანიის დელეგაცია პირველათ ყოვლისა წარუდგენს კონფერენციას. გერმანიისათვის დასაკისრებელ ახალ ვალდებულებათა ტექსტს. დელეგაციას არავითარი კონტაქტი არ ექნება „შეუსრულებლობის“ კომისიასთან.

პარიზი. 3 აგვისტო. კონფერენციის პლენალური სდომის დამთავრების შემდეგ შესდგა მოკავშირეთა დელეგაციების თათბირი, **რომელზედაც გადაწყდა მოწვეულ იქნენ სამშაბათს გერმანელი დელეგატები.**

მოლაპარაკება გერმანიასთან

პრესა გერმანიასთან მოლაპარაკების შესახებ.

რომი. 5 აგვისტო. პარიზის გაზეთები ეხებიან ლონდონში მოკავშირეებს შორის მიღწეულ შეთანხმებას და აცხადებენ, რომ დღეიდან ყველაფერი დამოკიდებული იქნება გერმანიის პოზიციაზე. საფრანგეთის პრესა ხაზს უსვამს მოკავშირეების ერთიანი ფრონტის აუცილებლობას გერმანიასთან მოლაპარაკების დროს.

ლონდონის პრესა ამბობს, რომ ლონდონში გერმანიის დელეგაციის ჩამოსვლით იწყება კონფერენციის მეორე გადამწყვეტი ფაზა. გაზეთების სიტყვით, გერმანიის დელეგაციის წევრები შევლენ სხვა და სხვა კომისიებში.

გერმანიის წარმომადგენლობა კონფერენციის პრეზიდიუმში.

ნაუენი. 5 აგვისტო. დღეს მოკავშირე დელეგატების მეთაურები გადასწყვეტენ საკითხს გერმანიისათვის კონფერენციის პრეზიდიუმში მუდმივი ადგილის მიცემის შესახებ.

ერრიოს განცხადება.

პარიზი. 5 აგვისტო. გერმანელ დეპუტატის—სოციალისტ ბრეკშეიდის მიღების დროს, ერრიომ განაცხადა, რომ უნდა გამოვეთხოვოთ ყოველგვარ იმედს გერმანიასთან შეთანხმების მიღწევის შესახებ, თუ ნაციონალისტები განსაზღვრავენ გერმანიის მთავრობის მოქმედების ხაზს.

გლეხობის ინტერესების სადარაჯოზე

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ დადგენილებას ყურძნის ღვინოზე ერთდროულ სააქციზო გადასახადის შემოღების შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეღვინეობა-მევენახეობისთვის და გლეხობასთან კავშირის განმტკიცებისთვის.

ამ დადგენილების თანახმად ღვინის აღრიცხვა იწარმოებს მხოლოდ თბილისში, ბაქოში, ერევანში, ბათომში, ფოთში, განჯაში და ლენინაკანში; დანარჩენ ქალაქებში კი შემოღებულ იქნება ერთდროული აქციზი პატენტის ღირებულებით 200 მანეთიდან—40 მანეთამდე, რომელიც ადგილების მიხედვით იქნება განსაზღვრული ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატის მიერ.

გარდა ზევით აღნიშნულ ქალაქებისა გლეხობას უფლება ეძლევა თავისუფლად აწარმოოს წვრილი ვაჭრობა ღვინით. ამ შემთხვევაში ის ყოველგვარ გადასახადისაგან თავისუფალია და მას საშუალება ეძლევა ისე მოიხმაროს თავისი ნაწარმოები, როგორც მოესურვება.

ამიერიდან, ცხადია, ადგილი აღარ ექნება ისეთ შემთხვევებს, რომელიც მოყვანილი ჰქონდა ამხ. ს. ორჯონიკიძეს „კომუნისტი“-ს 174 ნომერში. გლეხობას საშუალება ექნება თავისუფლად გაიტანოს და გაყიდოს ღვინო და მის ნაცვლად შეიძინოს ხორბლეული. ჩვენში არის ისეთი რაიონები, რომლებიც უმთავრესად მეღვინეობას მისდევენ და იქაური გლეხობისთვის გამოქვეყნებულ დეკრეტს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მასთანავე მუშამოსამსახურეებს უფლება ეძლევათ ზევით ხსენებულ ქალაქებშიც სოფლიდან თავის საჭიროებისათვის შემოიტანონ ერთ ფუთ ღვინომდე აქციზის გადაუხდელათ.

ამნაირად, ჩვენი სააქციზო კანონმდებლობის ერთი ნაკლი, რომელიც უკმაყოფილების იწვევდა გლეხობაში გამოსწორებულია. ეს კი ხელს შეუწყობს ჩვენი მეღვინეობის განვითარებას, რომელიც უკანასკნელ დროს დიდ განსაცდელშია ერთის მხრივ ფილოქსერის და სხვა ავადმყოფობათა გავრცელების გამო და მეორეს მხრივ ღვინის ბაზარზე მოთხოვნილების სიმცირით.

რამოდენიმე თვის წინად აფხაზეთის გლეხობამ იშუამდგომლა ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარესთან იქაურ ღვინოებზე აქციზის შემცირების შესახებ. მაისის ბოლო რიცხვებში კიდევ გამოქვეყნებულ იქნა დეკრეტი, რომლითაც დაკმაყოფილებულ იქნა აფხაზეთის გლეხობის შუამდგომლობა.

ამნაირად, საბჭოთა ხელისუფლება ამ საკითხშიც ახლოს არის გლეხობასთან და სრულ ანგარიშს უწევს მის მოთხოვნილებებს. ცხადია, ამ ფაქტიდან საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე კავშირი მუშათა და გლეხთა მასებთან.

საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე და ძლიერებაც სწორედ იმაშია, რომ ის ყოველთვის სცდილობს ჩვენი კანონმდებლობის ყოველგვარი ნაკლი გამოასწოროს, შეუფარდოს ჩვენი კანონმდებლობა მშრომელთა ფართე მასების მოთხოვნილებებს, გასაქანი მისცეს როგორც ჩვენი მრეწველობის, ისე სასოფლო-მეურნეობის განვითარებას.

ადგილებზე მომუშავე ამხანაგებიც უნდა გაიმსჭვალონ ამ თვალსაზრისით და აქტიური ბრძოლა უნდა აწარმოონ საბჭოთა კანონმდებლობის შინაარსის ყოველგვარი გადამახინჯების წინააღმდეგ.

მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი მუშათა და გლეხთა მასების იმ კავშირის შენარჩუნება-გაძლიერება, რომელიც თავდებია საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცისა.

ბ.

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა კონფერენცია

გერმანიის დელეგაცია

ბერლინი. 5 აგვისტო. დღეს 8 ნახ. საათზე დილით ჩამოვიდა გერმანიის დელეგაცია, რომელსაც მიეგება მაკდონალდის მდივანი და ბრიტანეთის საგარეო უწყების რამოდენიმე წარმომადგენელი. გერმანიის წარმომადგენლები ლონდონში იქნებიან როგორც ინგლისის მთავრობის სტუმრები. მოკავშირეთა პირველი შეხვედრა გერმანიის დელეგატებთან მოხდება დღეს მაკდონალდის თავმჯდომარეობით. ინგლისის პრემიერის მისალმებაზე გერმანიის დელეგაციის სახელით უპასუხებს მარქსი, რის შემდეგაც გერმანელებს გადაეცემა დოკუმენტები იმ მუხლებით, რომელშიდაც მოკავშირენი შეთანხმდენ. ამის შემდეგ კონფერენციის სხდომა დახურულ იქნება, რომ გერმანელებს მიეცეთ საშუალება წარმოადგინონ თავისი კონტრწინადადებები.

მოლაპარაკების წესრიგი.

ბერლინი. 5 აგვისტო. როგორც იტყობინებიან მოკავშირეთა დელეგაციების მეთაურებმა მიაღწიეს შემდეგ შეთანხმებას გერმანელებთან მოლაპარაკების წესის შესახებ. კონფერენციაზე შეკრებილ სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან დანიშნულ იქნება საბჭო 12 წევრის შემადგენლობით. საბჭომ უნდა აწარმოოს მოლაპარაკება გერმანელებთან. ექსპერტები იქნებიან აქვე მეორე ოთახში მათთან საჭიროების დროს სათათბიროთ.

მორგანის ჩამოსვლა.

ბერლინი, 5 აგვისტო. გუშინ ლონდონში ჩამოვიდა ამერიკელი ბანკირი მორგანი სარეპარაციო სესხის გამოშვების პირობებზე მოლაპარაკების საწარმოებლათ.

გაფიცვის მონაწილეთა დასჯის წინააღმდეგ.

პარიზი, 5 აგვისტო. ბრიუსელში შესდგა მანიფესტაცია ათიათასი მუშის მონაწილეობით შარშანდელ გაფიცვის მონაწილეთა დასჯის წინაამდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ.

გელეინი ისევ დააპატიმრეს.

პარიზი, 5 აგვისტო. ბელგიიდან გაძევებულ გერმანელ კომუნისტ-დეპუტატ გელეინმა მიუხედავათ პოლიციის სასტიკი ზედამხედველობისა, შესძლო სიტყვით გამოსვლა ანტვერპენში და მუშათა უბანში ლიეჟში. გელეინი გამოვიდა დეპუტატ კესლის სახელით, მაგრამ დატუსაღებულ იქნა მიუხედავათ მუშური აუდიტორიის წინააღმდეგობისა.

ომის საწინააღმდეგო მიტინგები პარიზში.

პარიზი, 5 აგვისტო. შაბათს პარიზში კომუნისტების მიერ მოწყობილი მიტინგები ჩატარდენ დიდი წარმატებით. მიტინგებზე გამოსულ გერმანელ კომუნისტებს ხვდებოდენ ინტერნაციონალის მღერით. ორატორების სიტყვები ფარავდა მოწოდებები: „ძირს კაპიტალისტური ომი. გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციას“. სენეტიენში მიტინგის მონაწილენი ოვაციებით ხვდებოდენ გერმანელ ორატორს. შენობებიდან გამოსვლის დროს ნაციონალისტებმა დასჭრეს ერთი კომუნისტი. მიტინგების კამპანია ასეთივე წარმატებით ჩატარდა თითქმის ყველა ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვან ცენტრებში.

თემთა პალატაში

მაკდონალდის მოხსენება კონფერენციის მუშაობის შესახებ.

ლონდონი, 5 აგვ. თემთა პალატაში მაკდონალდმა განაცხადა, რომ მოკავშირეების კონფერენციას განზრახული აქვს 3 შეთანხმების მიღწევა: პირველი არის შეთანხმება გერმანიის მთავრობისა და სარეპარაციო კომისიას შორის იმ საკითხებში, რომლებიც მისის კომპეტენციაში, მეორე, უნდა მოხდეს შეთანხმება მოკავშირე მთავრობებსა და გერმანიის მთავრობის შორის იმ საკითხების შესახებ, რომლებიც უნდა გადაიჭრეს აღნიშნულ მთავრობებს შორის უშუალო მოლაპარაკების გზით. მესამე შეთანხმება მიღწეულ იქნება მოკავშირე მთავრობებს შორის; ეს შეთანხმება მოაწესრიგებს იმ საკითხებს, რომლებიც შეეხება თვით მოკავშირეებს.

დასასრულ მაკდონალდმა განაცხადა: „მე არ შემიძლია გავათავო სიტყვა, ვიდრე ჩემს აღტაცებას და მადლობას არ გამოვსთქვამ მოკავშირე სახელმწიფოების პრემიერებისა და დიპლომატებისადმი, რომლებმაც მშვიდობიანობისადმი ერთსულოვანი მისწრაფებით, შეასრულეს ძნელი საქმე აღნიშნულ შეთანხმების მიღწევის მოსამზადებლად“.

გარეშე საქმეთა მინისტრის ყოფილმა ამხანაგმა მაკ-ნეილმა მოსთხოვა მაკდონალდს განმარტებები სანქციების საკითხის შესახებ, გერმანიის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში. მაკდონალდმა უპასუხა, რომ მოკავშირე მთავრობებისათვის შეიქნებოდა დაუძლეველი მდგომარეობა იმ შემთხვევაში, თუ თვითეული მათგანი განაგრძობდა თავისი საკუთარი, მეტად დაუმთავრებელი პოლიტიკის წარმოებას. შემდეგ მაკდონალდმა აღნიშნა, რომ ამ ჟამად სავსებით უზრუნველყოფილია ერთსულოვნება მოკავშირეებს შორის „შეუსრულებლობის“ გამორკვევის საკითხში.

შემდეგ მაკდონალდმა პასუხი გასცა შეკითხვას, უზრუნველყოფილია თუ არა ბრიტანეთის მთავრობის მიერ გერმანიის სესხის ნაწილი და როგორია ამის გარანტიები? მაკდონალდმა განაცხადა, რომ მოკავშირეთა კონფერენცია აწარმოებს მოლაპარაკებას არა სესხის, არამედ ისეთი პოლიტიკური შეთანხმების შესახებ, ცემს იმ პირებს, რომლებიც ხელს მოაწერენ სესხზე. როგორც კი დამთავრდება კონფერენცია, ნიუ-იორკის, ლონდონის, პარიზის და სხვა ცენტრების საბანკირო სახლებმა უნდა გადასჭრან საკითხი სესხის გამოშვების შესახებ. ყველაფერი, რის გაკეთებაც კი შეუძლიათ მოკავშირე მთავრობებს, — ეს არის გარანტიების მიცემა ბანკირებისათვის სესხის ნორმალური წესით განაღდებაზე.

შემდეგ მაკდონალდმა პასუხი გასცა შეკითხვას იმის შესახებ, აქვს თუ არა რომელიმე მოკავშირე სახელმწიფოს უფლება დამოუკიდებლად იმოქმედოს, სხვა სახელმწიფებთან შეუთანხმებლად, და განაცხადა, რომ პოზიცია, რომელიც უჭირავს ამ საკითხში ბრიტანეთის მთავრობას, სავსებით სწორია.

მაკდონალდს იმედი აქვს, რომ შეთანხმება მოკავშირეებს შორის მიღწეული იქნება არბიტრაჟის სისტემის შემწეობით. მას იმედი აქვს, რომ ყველა საკითხი, რომლებიც წამოიჭრებიან ვერსალის ხელშეკრულების განმარტების დროს, თუ ისინი სადაო გახდებიან, დაუყოვნებლივ გადაეცემიან საერთაშორისო სასამართლოს ჰააგაში. მაგრამ მაკდონალდი შიშობს, რომ ასეთი შეთანხმების მიღწევა ძნელი იქნება ზოგიერთ მოკავშირე ქვეყნებში. ყოველ შემთხვევაში მას გულწრფელად სწამს, რომ 6 თვის შემდეგ ასეთი შეთანხმება შესაძლებელი გახდება.

ერრიო კმაყოფილია

რომი, 4 აგვისტო. ლონდონიდან მიღებული ცნობით, კონფერენციის უკანასკნელ პლენარულ სხდომის დამთავრების შემდეგ ერრიომ პრესის წარმომადგენლების წინაშე სრული კმაყოფილება გამოსთქვა მიღწეული შეთანხმებით. ერრიომ განაცხადა, რომ ახალ დაბრკოლებების წარმოშობის შემთხვევაში სათანადო საკითხები გადაეცემა საერთაშორისო არბიტრაჟს.

ერრიო კონფერენციის მუშაობის შესახებ.

პარიზი, 5 აგვისტო. „პტი პარიზიენ“-ის თანამშრომელთან საუბარის დროს ერრიომ განაცხადა, რომ „კონფერენციის დელეგაციების მუშაობას სულდგმულებს სრული გულწრფელობა“. ერრიოს სიტყვით, ამერიკის ყველა გამოსვლები მიმართული იყო განსაკუთრებით მოკავშირე დელეგაციების შეხედულებათა შეთანხმებისაკენ. „საფრანგეთს არ დაუწყია ვაჭრობა, სთქვა ერრიომ, მან მაშინვე წარუდგინა თავისი თეზისები, დამყარებული არბიტრაჟის სისტემაზე, რომელიც მთავარი საფუძველი იქნება მომავალშიაც ყოველგვარ დიპლომატიურ შეთანხმების მიღწევის დროს. არჩევანის დროს ზარბაზნებსა და არბიტრაჟს შორის ჩვენ შევჩერდით უკანასკნელზე. არბიტრაჟის მორალური უპირატესობა შეგნებული აქვთ ყველა დელეგაციებს. ეხლა გერმანიამ უნდა გამოიჩინოს ისეთივე სიბრძნე, როგორიც გამოიჩინეს მოკავშირეებმა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება საბოლოო მშვიდობიანობის მიღწევა“.

პრემიერების თათბირი

იმზადებიან.

რომი. 4 აგვისტო, პარიზის „ჟურნალ“-ის ცნობით, შესდგა ერრიოს, ტეუნისის და სტეფონის თათბირი. პრემიერებმა განიხილეს წინასწარი საკითხები, რომლებიც საბოლოოდ გადაწყვეტილი იქნება გერმანიის დელეგაცსთან ერთად. როგორც იტყობინებიან, თათბირის შედეგები იმდენად დამაკმაყოფილებელია, რომ შესაძლებლად სთვლიან კონფერენციის მუშაობის წარმატებით დამთავრებას.

საფრანგეთის წინადადებები

პარიზი. 4 აგვისტო. უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში კონფერენცია არჩევდა საფრანგეთის წინადადებებს, რომლებიც მიზნად ისახავდენ კომპრომისის გამონახვას გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა დარღვევის, ფაქტის გამორკვევის და ნატურით მიწოდების წესების საკითხებში.

პირველმა კომისიამ, რომელიც არჩევდა საკითხს გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევათა გამორკვევის წესის შესახებ, დაიცვა ის აზრი, რომ თვითეულ ცალკე სახელმწიფოს, რომელიც უკმაყოფილოა სარეპარაციო კომისიის გადაწყვეტილებით ამ საკითხის შესახებ, უფლება მიეცეს გაასაჩივროს სამედიატორო სასამართლოში, რომელიც შემდგარი იქნება 3 პირისაგან, რომელთაც ირჩევს სარეპარაციო კომისია ერთსულოვანი გადაწყვეტილებით 5 წლის ვადით; ხოლო თუ უთანხმოებას ექნა ადგილი, მაშინ ამ პირებს ირჩევს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის თავმჯდომარე.

ამავე დროს, პირობათ არის მიღებული, რომ ამ სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარე უნდა იქნეს ამერიკელი მოქალაქე.

პრესა კონფერენციის შესახებ

პარიზი. 5 აგვისტო. ეხება რა კონფერენციის მუშაობას „სანდეი ექსპრესს“ აღნიშნავს, რომ პირველად 6 წლის შემდეგ, რომელმაც განვლო ომის დამთავრების შემდეგ, ეხლანდელი მოკავშირეთა კონფერენცია იძლევა იმის იმედს, რომ უზრუნველყოფილი იქნება მშვიდობიანობა, რომელიც ფაქტიურად არ ყოფილა უზრუნველყოფილი დროებითი ზავის შემდეგ.

საფრანგეთის პრესა სიხარულს გამოსთქვამს ლონდონში მიღწეულ შეთანხმების გამო. „ჟურნალ“ სწერს: „თვითეული, ვინც კი თვალყურს ადევნებს კონფერენციის მუშაობას, ფიქრობს, რომ ამჟამად მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვინემ ეს იყო 3 თვის წინ. თვით ერრიოს მოწინააღმდეგენიც კი ხედავენ მასში ენერგიას, გულწრფელობას და პატრიოტიზმს, რომლითაც ის შეუდგა საქმეს“.

ჩვენ და უცხოეთი

ამხ. რაკოვსკი დაბრუნდა ლონდონში

ამხ. კრესტინსკი ბერლინში ჩავიდა

იაპონია სახალინის საკითხში დათმობაზე მიდის

საბჭოთა კავშირი მონაწილეობას იღებს კელნის ბაზრობაზე

ინგლისი

ამხ. რაკოვსკის დაბრუნება

პარიზი 4 აგვისტო. 2 აგვისტოს რაკოვსკი დაბრუნდა ლონდონში, სადაც მას თათბირი ჰქონდა გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგ პონსონბისთან.

საბჭოთა დროშა დიდ ყურადღებას იპყრობს

ლონდონი. 4 აგვისტო. „როსტა“-ს კორესპონდენტმა ინახულა ამჟამად პლიმუტში მყოფი საბჭოთა სამხედრო-სასწავლო გემი „ვოროვსკი“, რომელიც 6 დღით ინგლისში შეჩერების შემდეგ ნეაპოლისაკენ გაემგზავრება. საბჭოთა დროშა საყოველთაო ყურადღებას იწვევს. „ვოროვსკი“-ს გარს ეხვევიან ნავები, რომლებიდანაც ისმის „ინტერნაციონალის“ სიმღერა. გემის კომისარმა აცნობა „როსტა“-ს კორესპონდენტს, რომ ინგლისში შემოსვლისთანავე ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამოუჩინეს გემს თავა[illegible] ადმირალმა გემის უფროსს გაუგზავნა ნავი ხმელეთზე გადმოსასვლელათ. ზღვის ნაპირზე საბჭოთა მეზღვაურებს მეგობრულათ მიეგება ქალაქის პროლეტარული მოსახლეობა. საბჭოთა მეზღვაურებთან მოსაუბრე ინგლისელ ოფიცრებს ძლიერ აინტერესებდათ საბჭოთა ფლოტის ორგანიზაცია: მათ ვერ წარმოედგინათ, თუ როგორ შეიძლება ფლოტის ხელმძღვანელობა უმაღლეს მოხელეების გარეშე.

გერმანია

ამხ. კრესტინსკის დაბრუნება

ბერლინი 4 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გერმანიაში კრესტინსკი ჩავიდა ბერლინში.

საბჭოთა კავშირის მონაწილეობა კელნის ბაზრობაზე

პარიზი 5 აგვისტო. კელნიდან მიღებული ცნობით, საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაცია მიიღებს მონაწილეობას კელნის ბაზრობაზე სექტემბერში.

ბერლინი. 4 აგვისტო. საბჭოთა კავშირის და გერმანიის კონფლიქტების ლიკვიდაციის გამო, ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ მან გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა კელნის ბაზრობაზე, რომელიც გაიმართება სექტემბერში. საკითხი ლეიპციგის ბაზრობაზე სავაჭრო წარმომადგენლობის მონაწილეობის შესახებ იხსნება, რადგანაც მოახლოვდა ამ ბაზრობის დამთავრების ვადა.

იაპონია.

იაპონია ცდილობს შეთანხმებას.

ტოკიო, 4 აგვისტო. კარახანის განცხადებამ, რომ საბჭოთა კავშირს არ შეუძლია იცნოს იაპონიის პრე[illegible] მონოპოლიურ ექსპლოატაციაზე, გამოიწვია იაპონიის მთავრობის საპასუხო განცხადება, რომელშიაც ნათქვამია: „იაპონია არ მოითხოვს მისთვის ასეთ ფართო უფლებებს და არც პრეტენზიებს აცხადებს საბჭოთა ტერიტორიის ამ ნაწილზე განსაკუთრებული უფლების მინიჭებაზე, მაგრამ ის ვერ დაკმაყოფილდება სახალინის კონცესიების საკითხის აბსტრაქტიულად მოგვარებით, ვინაიდან მას სურს რეალური შეთანხმების მიღწევა ამ საკითხში.

„კოკუმინ“-ი იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს განცხადებას სთვლის საბჭოთა დელეგაციის გამარჯვებად.

„ოსაკა ასახი“ ურჩევს მთავრობას გულახდილად გამოამჟღავნოს თავისი სურვილი და ნუ დაადგება შეურიგებელ პოზიციას.

დამოკიდებულება საფრანგეთთან

საუბარი ამხ. რაკოვსკისთან

მოსკოვი. 5 აგვისტო. ამხ. რაკოვსკიმ საბჭოთა პრესის თანამშრომლებთან საუბრის დროს ერრიოს და ჩიჩერინს შორის დეპეშების გაცვლა-გამოცვლის გამო საფრანგეთ-რუსეთის დამოკიდებულების შესახებ განაცხადა: მე ვფიქრობ, რომ ეს დეპეშები წარმოადგენს ახალ ნაბიჯს საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთს შორის ნორმალურ ურთიერთობის დამყარების საქმეში.

ახლა უნდა ველოდეთ უკანასკნელ ნაბიჯს, რომელსაც უნდა მოჰყვეს ლონდონის საკავშირო კონფერენციის დასრულებას. ვფიქრობ, რომ ეს ნაბიჯი გამოიწვევს საბჭოთა კავშირის ცნობას.

კითხვაზე, თუ რა შეხედულების არის ნაციონალური ბლოკის როლის შესახებ საბჭოთა კავშირის ცნობის საქმეში, ამხ. რაკოვსკიმ უპასუხა:

ეროვნული ბლოკი ინგლისური კონსერვატორთა პარტიის მსგავსად, მხოლოდ ფორმალურად არის წინააღმდეგ ცნობისა, არსებითად იგი არ გაილაშქრებს ცნობის წინააღმდეგ.

კითხვაზე, თუ როგორია ნაციონალური ბლოკის როლი, ამხ. რაკოვსკიმ განაცხადა ეს პარტია მხარს უჭერს ცნობას, რადგან ამ ცნობამ ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო მშვიდობიანობის ჩამოგდებას. საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიის მეორე ნაწილი, რომელიც ამჟამად ცნობის წინააღმდეგია, ვერ იკისრებს თავის თავზე პასუხისმგებლობას საფრანგეთის პროლეტარიატის და გლეხობის ინტერესების საწინააღმდეგო გამოსვლისათვის, იმის მიუხედავად, რომ ს. დ. პარტიის ამ ნაწილს მეგობრული კავშირი აქვთ რუს მენშევიკებსა და ესერებთან.

ფაშიზმის კრიზისი

ყოფ. ჯარისკაცთა კონგრესის გარშემო.

რომი. 4 აგვისტო. ფრონტებზე მყოფთა კონგრესი, რომელზედაც მიღებული იქნა რეზოლიუცია სახელმწიფო ძალაუფლების ფაშისტურ პარტიისაგან ჩამოშორების შესახებ, დიდ მღელვარებას იწვევს ფაშისტთა ბანაკში. „იმპერო“ და „კრემონა ნუოვო“ აცხადებენ, რომ ფრონტებზე მყოფი მეომრები „ვერ გრძნობენ ქვეყნის პოლიტიკურ მაჯისცემას“, ფაშისტებს შეუძლიათ მათ გარეშეც მოაგვარონ სახელმწიფოს საქმეები.

მუსოლინი, პროვინცია ბოლონიის ფაშისტურ ორგანიზაციის კონფერენციისათვის გაგზავნილ დეპეშაში, ეკამათება ფრონტებზე მყოფ მეომრებს და აცხადებს: „ჩვენ თავისებური ბაბილონის ენათა აღრევის მოწამენი ვართ. ჩვენგან მოითხოვენ იმას, რომ ჩვენ კეთილ ლიბერალებათ გავხდეთ. თუ საქმე შეეხება უკანონობის მოსპობას, მაშინ კანონის დარღვევა, მიუხედავათ ოპოზიის მიერ ფაშიზმის წინააღმდეგ მორალურათ მრავალ უკანონო მოქმედების ჩადენისა, ისჯება და მომავალშიაც დაისჯება.

ბოლოს და ბოლოს, რა უნდათ ჩვენგან. ვერავინ ვერ ბედავს აშკარათ გამოსთქვას თავისი აზრი, ამავე დროს კი ყველას ასულდგმულებს იდუმალი სურვილი ფაშიზმი დაუმორჩილონ პარლამენტის კონტროლს“

„ჯორნალე დ-იტალია“ სწერს: „ფრონტებზე მყოფთა რეზოლიუციამ, როგორც სჩანს, იმოქმედა მუსოლინზე. სხვადასხვა ფარინაჩები (უკიდურესი ფაშისტები) ჯერ კიდევ ვერ გამოთხოვებიან აბსურდულ იდეებს და ისინი იმუქრებიან ახალი ომებით“.

როგორ ჩატარდა ომის ათი წლის თავი

საბჭოთა ფედერაციაში

ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოსკოვში.

მოსკოვი. 4 აგვისტო. 2 აგვისტოს მოსკოვის ყველა რაიონებში გამართული იყო მასიური დემონსტრაციები ქუჩებში. დილიდანვე მრავალ წარმოებებში მოწყობილი იყო მფრინავი მიტინგები, რომლებიც მიძღვნილი იყო იმპერიალისტური ომის 10 წლის თავისათვის პროტესტით კაპიტალისტური მთავრობების წინააღმდეგ, რომლებიც სცდილობენ ნიადაგი მოუმზადონ ხალხთა ახალ შეჯახებას. რეზოლიუციებში მიტინგების მონაწილენი მხურვალე მოწოდებით მიმართავენ უცხოეთის პროლეტარიატს მიბაძონ საბჭოთა კავშირის მშრომელებს, გააერთიანონ თავისი რიგები კომპარტიის ხელმძღვანელობით და იბრძოლონ ბურჟუაზიული მთავრობების დამხობისა და მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებისათვის მთელს მსოფლიოში.

მიტინგების გათავების შემდეგ წარმოებების და დაწესებულებების მუშებმა და მოსამსახურეებმა მწყობრი რიგებით და ორკესტრებით თავი მოიყარეს დანიშნულ ადგილას რაიონებში. მუშების უმრავლესობა დემონსტრაციაზე გამოვიდა გაზეთილ საქარხნო ხალათებში, ზოგიერთები კი წვრილი ინსტრუმენტებით ხელში.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საამშენებლო დარგის მუშებმა, რომლებიც მოსკოვში ჩამოვიდენ ახლო-მახლო გუბერნიებიდან საზაფხულო სამუშაოს საძებრათ. დემონსტრანტების თვითეულ კოლონას მიყვებიან პიონერები და სასპორტო ორგანიზაციების წევრები, რომლებიც ჩაცმული არიან სასპორტო კოსტიუმებში. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მოსკოვის გარნიზონის ნაწილებმა. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო სულ 500.000 კაცმა.

დემონსტრაციები ყველა კუთხეებში გაიმართა.

მოსკოვი. 5 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ყველა მნიშვნელოვან პუნქტებიდან მიღებულია ცნობები იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგო მასიურ დემონსტრაციების მოწყობის შესახებ.

ხარკოვში დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს რამოდენიმე ათეულმა ათასმა მუშებმა, წითელ-არმიელებმა და ბავშვებმა. გამოვიდენ მთელი რიგი ორატორები, მათ რიცხვში უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ჩუბარი და უკრაინის ცაკის თავმჯდომარე პეტროვსკი, რომელმაც აღნიშნა, რომ კომინტერნის ხელმძღვანელობით პროლეტარიატი ნაციონალურ ომს შესცვლის სამოქალაქო ომით; ეს უკანასკნელი კი მას გაანთავისუფლებს ყველა უბედურებისა და ახალ ომებისაგან.

ეკატერინბურგში დელეგატებს მიესალმენ კომინტერნის დელეგატები.

კიევში დემონსტრაციას საერთო ხალხური ხასიათი ჰქონდა.

ჩერეპოვეცში დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 10.000 კაცი.

ომსკში მოწყობილი იყო ომის დამწყებთა გასამართლება.

ინტელიგენციის მიტინგი ომის წინააღმდეგ

მოსკოვი. 5 აგვისტო. მოსკოვში მედიკურ-სასანიტარო, მუშაკთა, განათლების მუშაკთა და საბჭოთა მოსამსახურეების პროფკავშირებმა მოაწყვეს ინტელიგენციის მიტინგი ომის წინააღმდეგ. მოხსენებით გამოვიდა ამხ. პოკროვსკი, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი უზრუნველყოფილია იმპერიალისტურ ომებში მონაწილეობის მიღებისაგან, რადგან საბჭოთა კავშირში ძალაუფლება ეკუთვნის მშრომელ ხალხს. ევროპის ერებს შეუძლიათ ჰქონდეთ ასეთივე გარანტია, თუ ისინი იმპერიალისტურ ომს გადააქცევენ სამოქალაქო ომათ. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს ყველა ქვეყნების კულტურულ ძალებს გაერთიანდენ და იბრძოლონ ძალაუფლების მუშათა კლასის ხელში გადასვლისათვის.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში

გერმანიაში

ოფიციალური მიტინგი

ბერლინი. 4 აგვისტო. რეიხსტაგის შენობის წინ 40,000 კაცის მონაწილეობით გაიმართა მთავრობის მიერ მოწყობილი მიტინგი მსოფლიო ომის 10 წლის თავის გამო. რეიხსვერის ალლუმის შემდეგ სიტყვებით გამოვიდენ პრეზიდენტი ებერტი და კა[illegible] მიხედვით, სიტყვების დამთავრების და ზარბაზნების გასროლის შემდეგ 2 წუთით უნდა ჩამოვარდნილიყო სიჩუმე დაღუპულთა საპატივცემლოდ. სიჩუმის ჩამოვარდნისას, კომუნისტების ერთმა ჯგუფმა იმღერა „ინტერნაციონალი“. საპასუხოდ ბურჟუაზიულ ჯგუფების ნაწილმა იმღერა ნაციონალური სიმღერები, ალაგ-ალაგ [illegible] კომუნისტებსა და ნაციონალისტებს შორის, პოლიციამ დააპატიმრა კომუნისტები. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და კავშირებმა უკანასკნელ დროს, მუშათა მასების გავლენით, უარი სთქვეს ოფიციალურ მიტინგზე მონაწილეობის მიღებაზე, რადგანაც ის ატარებდა სამხედრო და ნაციონალისტურ ხასიათს.

საიმპერიო მთავრობამ მიმართა მცხოვრებლებს მოწოდებით ომის მსხვერპლთათვის ძეგლის ასაგები ფონდის შექმნის შესახებ.

რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ.

ბერლინი. 4 აგვისტო. ყველა განზრახული კომუნისტური დემონსტრაციები ჰამბურგში და აგრეთვე კრებები დაკეტილ შენობებში აკრძალულ იქნა ხელისუფლების მიერ, რაც გამოიწვია 2 აგვისტოს გამართულმა დიდმა მიტინგმა, რომელზედაც სიტყვით გამოვიდა ანრი ბარბიუსი, რომელმაც მქუხარე ოვაციების დროს ძმურად გადაკოცნა გერმანიის კომპარტიის ლიდერი ტელმანი. ტიურინგიის მთავრობა აფრთხილებს მცხოვრებლებს არ მიიღონ მონაწილეობა კომუნისტურ დემონსტრაციებში. მანჰეიმში აკრძალულია კომუნისტური გაზეთი ომის საწინააღმდეგო პროპაგანდის გამო. ბურჟუაზიული პრესა ავრცელებს ხმებს იმის შესახებ, რომ კომპარტია ტერორისტული გზით სცდილობს ომის 10 წლის თავის ოფიციალური დღესასწაულის ჩაშლას.

ომის ათი წლის თავი.

ბერლინი, 4 აგვისტო. გერმანიის კომპარტიის მიერ გამართული მიტინგებისა და დემონსტრაციების კამპანია იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ დიდი აღფრთოვანებით მიმდინარეობს. ბერლინში მოწვეულ კრებაზე იმდენი ხალხი მოზღვავდა, რომ პარტიას მოუხდა პარალელურ კრებების გამართვა.

კომუნისტების დაპატიმრება.

ბერლინი, 4 აგვისტო. ვიურტემბერგის პოლიციამ ახალგაზრდათა კომკავშირის ბიუროში დააპატიმრა კომკავშირის სამი თანამშრომელი და კონფისკაცია უყო რამოდენიმე ათას ცალ პროკლამაციას. პოლიციამ აღკრძალა ყოველგვარი კომუნისტური კრება 4 აგვისტომდე.

ესტონეთი

სისხლის ღვრა.

რეველი, 4 აგვისტო. მიუხედავად პოლიციის წინააღმდეგობისა, რეველის მუშები 2.000 კაცის რაოდენობით შეიკრიბნენ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად. პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს. მოხდა შეტაკება, რასაც შედეგად მოჰყვა მსხვერპლი ორივე მხრით. მოხდა მრავალი დაპატიმრებანი.

[illegible]

სტოკჰოლმი. 4 აგვისტო. შვეციაში და დანიაში სოციალ-დემოკრატების მიერ გამართულ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებში მონაწილეთა რიცხვი უმნიშვნელო იყო. სტოკჰოლმში დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა სულ 2000 კაცი. მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ბრანტინგმა. კომპარტიის მიერ მოწყობილ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 4000 მუშამ.

ამერიკა.

ნიუ-იორკი. 4 აგვისტო. ომის ათი წლის თავი ნიუ-იორკში აღნიშნული იყო ბურჟუაზიულ-პაციფისტურ დემონსტრაციებით და რელიგიურ-რეფორმისტულ საზეიმო კრებებით. მუშათა პარტია კომინტერნის პროგრამის მიხედვით მთელი ქვეყნის განმავლობაში მართავდა მიტინგებს, რომლებზედაც პარტიის წარმომადგენლები განმარტავდნენ ომის ეკონომიურ და იმპერიალისტურ საფუძვლებს. სახელმწიფო დეპარტამენტს გამომუშავებული ჰქონდა „მობილიზაციის დღის“ პროექტი. მაგრამ 12 სექტემბერს, როდესაც სათადარიგო ჯარის ნაწილებს და მილიციას უნდა გაემართათ „მობილიზაციის დემონსტრაცია“ პატრიოტულ და შოვინისტურ ორგანიზაციების ნებაყოფლობითი მონაწილეობით, ბურჟუაზიულმა პაციფისტებმა გამოაცხადეს პროტესტი, რომელსაც ნაწილობრივ მხარი დაუჭირეს დემოკრატებმაც. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი მთავრობა იძულებული გახდა განეცხადებინა, რომ პროექტში გათვალისწინებული იყო მხოლოდ „თავდაცვის“ დემონსტრაცია.

ლატვია

მუშათა გამოსვლების ეშინიათ.

რეველი, 4 აგვისტო. მთავრობამ აკრძალა კვირისათვის დანიშნული მუშათა დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ. პოლიციას ნაბრძანები აქვს დაუყოვნებლივ აღკვეთოს გამოსვლების ყოველგვარი ცდა. მთავრობამ მიმართა მოსახლეობას მოწოდებით, რომელშიც წინადადებას აძლევს მოქალაქეებს არ გამოვიდნენ ქუჩაში, რათა არ გადაიქცენ შესაძლებელ შეტაკების უცაბედ მსხვერპლათ.

მუშათა გაზეთის რედაქტორი მიცემულია პასუხისგებაში დემონსტრაციის გამართვის მოწოდებისათვის

მაკედონელთა მოძრაობა

მოძრაობა ძლიერდება

ვენა. 4 აგვისტო. მაკედონიის პარტიზანულ რაზმების მოქმედება თვალსაჩინოთ იზრდება. უკანასკნელ დღეებში მიღებულია ცნობები შეტაკების შესახებ მაკედონიის პარტიზანულ რაზმებსა და სამხრეთ-სლავიის ჯარებს შორის. სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, პარტიზანების მიერ სრულიად განადგურებულია სერბიის ქალაქი სტრუმიცა. სამხრეთ-სლავიის პოლიტიკური წრეები მეტად აღელვებული არიან პარტიზანების მოქმედებით. ფიქრობენ, რომ ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის საზღვარზე მაკედონიის პარტიზანების ბელადმა ტოდორ ალექსანდროვმა თავი მოუყარა დიდძალ პარტიზანებს თავდასხმის მოსახდენათ სამხრეთ-სლავიის ტერიტორიაზე. მღელვარებას კიდევ უფრო აძლიერებს მოწოდება, რომელიც მოუხმობს მაკედონელებს იბრძოლონ მაკედონიის განთავისუფლებისათვის. პარტიზანების გამოსვლის შემთხვევები გახშირდა აგრეთვე საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვარზე. ბულგარეთის მთავრობამ საბერძნეთს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა იმ ძალადობის წინააღმდეგ, რომელსაც ახდენენ ბულგარეთის მოქალაქეებზე საბერძნეთის საზღვარზე, რის შემდეგაც მოხდა ახალი შეტაკება საბერძნეთის ჯარებსა და პარტიზანებს შორის, რომლის დროსაც მოკლული იქნა 17 პარტიზანი. საბერძნეთის მთავრობამ წინადადება მისცა თავის ელჩს სოფიაში ენერგიული ზომები მიიღოს ბულგარეთის მთავრობის წინაშე პარტიზანული მოძრაობისა და საბერძნეთის მოქალაქეების დევნის წინააღმდეგ ბულგარეთში. საბერძნეთ-ბულგარეთის დამოკიდებულების გამწვავება დაკავშირებულია იმ მოლაპარაკების ჩაშლასთან, რომელიც სწარმოებდა ბულგარეთისათვის ეგეის ზღვისაკენ გასავალის მიცემის საკითხის შესახებ; ამ მოლაპარაკების დროს საბერძნეთმა წინადადება შეიტანა ნავთსადგურ სალონიკის ბულგარეთის ზონათ გამოცხადების შესახებ, ბულგარეთი კი მოითხოვდა უშუალო გასავალს ზღვისაკენ.

პანების სამეფოში

პარტიზანული მოძრაობა ძლიერდება

ვარშავა 4 აგვისტო. პოლონეთში ძლიერდება პარტიზანულ რაზმების მოქმედება. გაზეთების ცნობით, 1 აგვისტოს ტარნოვთან პარტიზანებმა გააჩერეს მატარებელი. ამავე დროს სტანისლავის მახლობლად პარტიზანები თავს დაესხნენ ფოსტას და გაიტაცეს დიდძალი ფული.

საშინელებანი პოლონეთის ციხეებში

ვარშავა 4 აგვისტო. ვარშავის ციხეებში პოლიტიკურ პატიმრების მიერ სიმშილობის გამოცხადების გამო, პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრმა სენატორმა პოზნერმა გამოაქვეყნა „რაბოტნიკ“-ში წერილი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ვარშავის ყველა ციხეებში პოლიტიკურ პატიმრებს ბარბაროსულად ხტანჯავენ. უკანასკნელ სიმშილობაში მონაწილეობას ღებულობდენ მცირე წლოვანი პატიმრები. რამოდენიმე ათეული ბავშვი, 2 წლის წინასწარი დაპატიმრებით გაწამებულები, ნაცემი სიმშილობით დასუსტებულები გადაიყვანეს ციხის მმართველებმა ვარშავიდან პოზნანის ციხეებში. საერთოდ ამ უკანასკნელ დროს ციხეები ავსებულია თითქმის მხოლოდ მცირე წლოვანებით—16—19 წლამდე.

კრაკოვის განაჩენის გამო

ვარშავა 4 აგვისტო. კრაკოვის პროცესზე მიღებულ განაჩენს გაცხოველებით კომენტარიებს უკეთებენ გაზეთები. „რაბოტნიკი“ აღნიშნავს, რომ გამამართლებელი განაჩენი აქარწყლებს სახალხო დემოკრატების ტყუილს, რომ კრაკოვის აჯანყება თითქოს განზრახ მოწყობილი იყო პოლონეთის სოციალისტური პარტიის მომხრეების მიერ. „გაზეტა ვარშავსკა“, სახალხო დემოკრატების ორგანო, ფიქრობს, რომ განაჩენი ნაკარნახევია პოლიტიკური მოტივებით. მემარჯვენე გაზეთი „გონეც“-ი განაჩენს უწოდებს ნაციონალურ სირცხვილს.

ბრძოლა ზემო-სილეზიაში

ვარშავა. 4 აგვისტო. საგაფიცვო მოძრაობა ზემო-სილეზიაში უცვლელია. მოლაპარაკება შეწყვეტილია. მრავალ სამრეწველო რაიონებში მრეწველებს განზრახული აქვთ ლოკაუტის გამოცხადება.

ეროვნული უმცირესობანი არ არიან დაშვებული

ვარშავა. 4 აგვისტო. სეიმის გარეშე საქმეთა კომისიის სხდომაზე გადაწყდა არჩეულ იქნეს ქვე-კომისია მუდმივი კონტროლისათვის ახალი გარეშე საქმეთა მინისტრის სკრჟინსკის მეთაურობით. ქვე-კომისიაში უმრავლესობას მემარჯვენეები წარმოადგენენ; ნაციონალური უმცირესობანი სრულებით არ არიან დაშვებულნი.

„სოციალისტი“—ჟანდარმები

პოლონეთის სოციალისტური პარტიის პროვოკაცია.

ვარშავა. 4 აგვისტო. მიტინგზე, რომელიც მოწვეული იყო კვირას პოლონეთის სოციალისტური პარტიის მიერ, მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება, რომლის დროს მოკლული იქნა მუშა-კომუნისტი ვიქტორ ბელი და დაჭრილი იქნა რამოდენიმე ათეული კაცი.

გრძნობდენ რა, რომ მუშები პროტესტს განაცხადებდენ პოლონეთის სოციალისტური პარტიის ბელადების წინააღმდეგ, ამ უკანასკნელმა მიტინგზე თავი მოუყარა ყველა თავის მებრძოლ რაზმებს, რომლებიც შეიარაღებული იყვენ რევოლვერებით, კასტეტებით და რკინის ჯოხებით.

მიტინგი დაიწყო სოციალისტური პარტიის ორატორების ხულიგნური გამოსვლით კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებსაც სოციალისტური პარტიის ორატორები „საბჭოთა გენერალური შტაბის აგენტებს“ და „ჯაშუშებს“ უწოდებდენ. ამასთანავე მიტინგზე დამსწრეებს ურიგებდენ ფურცლებს, რომლებშიაც კომუნისტებს აბრალებდენ 10 საათის სამუშაო დღის შემოღებას და ცდას ესარგებლებიათ აგიტაციით პოლონეთის სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ. ამ პროვოკაციულ გამოსვლებს მიტინგზე დამსწრე რამოდენიმე ათასმა მუშამ უპასუხა ენერგიული პროტესტით და ყვირილით „მოღალატეები“ „ძირს ბურჟუაზიის ლაქიები“, რაზმელები შეესიენ პროტესტანტებს, სასტიკათ სცემდენ მათ და ერეკებოდენ დარბაზიდან. ქუჩაში სოციალისტური პარტიის განსაკუთრებული რაზმი აპატიმრებდა დარბაზიდან განდევნილ მუშებს და აძლევდა მათ პოლიციას. რაზმელების პროვოკაციას შედეგათ მოჰყვა ხელჩართული ბრძოლა დარბაზში და დარბაზის გარეთ. ქუჩაზე გაისმა სროლა, რომლის დროს მოკლული იქნა ბელი. ხალხი მიაწყდა გასავალ კარებს, მან მიატოვა დაჭრილი და ნაცემი მუშები, რომლებიც სასწრაფო დახმარების ეტლმა წაიყვანა საავადმყოფოში. მსუბუქათ დაჭრილები პოლიციამ წაიყვანა ციხეში. ბრძოლის შემდეგ სოციალისტური პარტიის წევრებმა პოლიციის მფარველობის ქვეშ განაგრძეს მიტინგი. დარბაზში დარჩა კიდევ 1.000-დი მუშა. პოლონეთის სოციალისტური პარტიის დეპუტატმა ქალმა პრაუსოვამ, მიუთითა რა დარბაზში დარჩენილებს კომუნისტურ დეპუტატ კრულიკოვსკიზე, შეჰყვირა: „მთავარი პროვოკატორი ჯერ ისევ აქ არის“. რაზმელები მივარდენ მასთან, მაგრამ მუშები გარს შემოერტყენ კრულიკოვსკის, გამოიყვანეს დარბაზიდან და მიაცილეს სახლამდი.

მაგრამ სოციალისტური პარტიის წევრებმა ვერ შესძლეს მაინც მიტინგის დამთავრება. ანგარიშის გასწორება მუშებთან განგებ იყო მოწყობილი. სოციალისტური პარტიის რაზმები, რომლებიც ყოფილ მსროლელებისაგან შესდგებიან, წინდაწინ იყვნენ დანაწილებული დარბაზში და ქუჩაზე განსაზღვრული გეგმის მიხედვით. მრავალი სასიკვდილოთ არის დაჭრილი. ზოგიერთები დაჭრილი არიან დანის დარტყმით, ზოგიერთებს კასტეტების და რკინის ჯოხების დარტყმით გაჩეხილი აქვთ თავის ქალა.

რუმინეთის ამბები

მთავრობის კრიზისის წინ

ვენა. 4 აგვისტო. საზღვარ-გარეთ გავრცელებული ცნობა სახალხო პარტიის ლიდერის ავერესკუს მიერ განზრახულ გადატრიალების შესახებ ძლიერ გადაჭარბებულია. ავერესკუ წარმოადგენს ბრატიანუს მემკვიდრეს ეხლანდელ კაბინეტის გადადგომის შემდეგ, რომლის შესაძლებლობა დაკავშირებულია საკითხთან: შესძლებს თუ არა ბრატიანუ მოურიგდეს უცხოელ კაპიტალისტებს კრედიტების შესახებ, ხოლო ეს მორიგება თავის რიგათ დამოკიდებულია ამ უთანხმოების მოსპობაზე, რომელიც გამოიწვია ნავთის სარეწაოების ნაციონალიზაციის კანონმა: თუ შეთანხმება მიღწეული არ იქნა, ბრატიანუს კაბინეტი დამარცხდება.

სასურსათო დაბრკოლებები

ვენა. 4 აგვისტო. სასურსათო დაბრკოლებების შემცირების მიზნით მთავრობამ გადასწყვიტა რეკვიზიცია უყოს ქვავის მარაგს რუმინეთის ქალაქებში და, განსაკუთრებით, ბუქარესტში. ამავე დროს მინისტრთა [illegible] დაადგინა გაადიდოს ხორბლის [illegible] ტონას ბაჟი 50 პროც.-ით, რაც უდრის ხორბლის გატანის სრულ აკრძალვას.

ერ-კავკასიის მეურნეობის ასაღორძინებლად

ერ-კავკასიის ჩაი.

5 აგვისტო. ვინაიდან ის ჩაის საქმეს აქვს [illegible] მნიშვნელობა, გვემათა სამმართველონა დაუყოვნებლივ მოეთა კავშირის სახალხო ის უმაღლეს საბჭოსთან ელი სააქციონერო სა-, რომლის ძირითადი კაება 500,000 მანეთი.

კასიის სამთომადნო სა-ის გამოკვლევა.

5 აგვისტო. საბჭოთა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომამ, რომელიც იმუშავებდა სახალხო კომისარიატების 1924—25 წ. პირველი ნახევრის მუშაობის გეგმას, დაადგინა დაამთავროს „აზნეფტის“ დათვალიერება და დაიწყოს გროზნოს ნავთის, კერძოდ კი სამრეწველოების აღდგენის და გაუმჯობესების, შავი ზღვის ნავთსადენის გაკეთების და ექსპორტის მოწყობის საქმის გამოკვლევა ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახლხო მომისარიატთან ერთად მოხდება შავი ქვის სამრეწველოების დათვალიერება.

სხვა და სხვა ამბები

ვა ტოკიოში. ტოკიოს ის სადგურების კამპანიის გამოაცხადეს გაფიცვა. ნიადაგზე. გაფიცულები შრომის ხელფასის 30 დებას. არჩეულია საგატეტი, საგაფიცვო ფონდია 10.000 იენი.

ნიის დელეგაციის შე- ლონდონის კონფერენმანიის დელეგაციაში შელერი მარქსი, გარეშე საქტრი შტრეზემანი, ფინანსლიუტერი და ფინანსმეურნეობის სამირკინის გზების და დაპოლქების წარმომადგენლემ და პრუსიამ გაგზავნეს ეგატები.

„უდიდებულესობა“ კი- ბუდაპეშტიდან მიღებულ ავსტრიის უკანასკნელი ის ქერივმა, ყოფილმა დეზიტამ, რომელიც „მძიმე“ მდგომარეობაში იმყოფება, ამერიკელ იმპრესარიოს წინადადებით დასთანხმდა მონაწილეობის მიღებაზე კინო-სურათში, რომელიც „ჰაბსბურგთა დრამას“ გამოხატავს.

— **გრანდიოზული წყალდიდობა პოლონეთში.** შუა პოლონეთში გრანდიოზული წყალდიდობაა. წყალის მიერ დაფარულია მთელი რიგი სოფლები. ზარალი დიდია.

— **ბრაზილიაში.** ბრაზილიის მთავრობის ჯარები ბოტუკატუსთან მიუახლოვდნენ რევოლიუციონურ რაზმებს; მოსალოდნელია გადამწყვეტი შეტაკება.

სან-პაბლოში აღდგენილია ძველი მდგომარეობა.

— **რევოლიუცია გონდურასში.** გონდურასში დაიწყო რევოლიუციონური მოძრაობა, რომელსაც მეთაურობს უკანასკნელი რევოლიუციონური მოძრაობის ბელადი ფერარო.

— **მუშების გამარჯვება.** ნორვეგიის ლითონის მრეწველობაში მწარმოებლებსა და მუშებს შორის მიღწეული იქნა შეთანხმება შრომის ხელფასის გადიდების საკითხში. ლოკაუტი თავიდან აცილებულია.

რტიული ცხოვრება

ქ. პ. თბილისის კომიტეტს ასურეთიდან

ისტური ომის 10 წლის თის კოლონია თბილისის სახით ესალმება იმ პარიამაც განთავისუფლა მშრომელნი კაპიტალისტთა მონობისაგან, ვესალმებით აგრეთვე რევოლიუციის ინტერესების დამცველ წითელ არმიას.

კრების პრეზიდიუმი.

მეზღვაურთა კომუჯრედი

ს, საქ. კომპარტიის თბიტეტმა დაარსა შეერთეჯრედი მეზღვართა, მოის, შავი და აზოვის თა და ნავთსადგურთა ის თანამშრომლებისაგან. პირველ სხდომაზე მე-4-ე ტეტის წარმომადგეაბაშიძემ გააკეთა საინური მოხსენება კომუჯრედის მეზღვაურთა კავში, რომლის პირდაპირი დაა გაძლიერება საზღვაო , რომელსაც ადრე თუ გვიან ის ძალების გასინჯვა ურ ფლოტთან შეტაკესაკეს სხვა ამხანაგებმაც, ამტკიცებდნენ მძლავრი ტის შექმნის აუცილებლობას და გამოსთქვეს ის აზრი, რომ ამ ახლო მომავალში განზრახული შეერთება მოხალისე ფლოტის და სახ. ზღვაოსნობისა გააორკეცებს და გააფართოვებს ხსენებულ ორგანიზაციათა მუშაობას და კომპარტიის დახმარებით შესაძლებელი გახდება ძლევამოსილი წითელი ფლოტის შექმნა.

გარდა ამისა ამ სხდომაზე განხილულ იქნა რამოდენიმე საორგანიზაციო ხასიათის საკითხები, რის შემდეგ დამსწრე ამხანაგები გულმხურვალედ მიესალმნენ მოხალისე ფლოტის ახალ ხელმძღვანელებს, რომელთაც დაიკავეს კომუჯრედთან მჭიდრო კავშირი და მასთან შეთანხმებით დაიწყეს და განაგრძობენ მუშაობას.

ლუზა.

ოფ. სანახშირეს შეფი (შორაპნის მაზრა)

, დილის 9 საათზე შავი პირველ მუშათა კომუჯრეკომისიამ ადგილობრივ ების და კომკავშირელელობით გაემგზავრა სასანახშიროსკენ. შორაპგზის ადგილკომმა დაა. სოფელში შესვლის ის ხმის გაგონებაზე და როშების დანახვისთანავე მაშურა სტუმრებისკენ.

საათის დასვენების შემკომისია და ყველა ამადგენ საქმეს; ვინ სცენას ს სამებს ამზადებს; დალავის ეტყობა. მუშური ეს წარმოდგენას „საოდელს თუ მიცვალებულს“. აზე კრება გახსნა თემმჯდომარემ და გააცნო გლეხობას შეფობის მნიშვნელობა. შემდეგ საშეფო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. სუთიძე. შორაპნის შავი ქვის კომუჯრედის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოდის ამხ. ს. თუთბერიძე, ახალგაზრდა კომკავშირის სახელით ამხ. ფერაძე. სამკითხველოს გამგეს საშეფო კომისიამ გადასცა ორმოცდახუთი ცალი გაზეთი, დაჰპირდა სისტემატიურად ყოველდღიურათ მათ მიწოდებას. გადასცა აგრეთვე წიგნები, რვეულები, ფანქრები და სხვადასხვა ლიტერატურა, რაც ესაჭიროება სამკითხველოს.

გლეხობამ შესაფერი რეზოლიუციით მადლობა გადუხადა თავის შეფს და უსურვა გამარჯვება კომუნისტურ პარტიას.

ბ.

ანის შავი-ქვის მტვირთველთა კომუჯრედში

ის შესდგა შორაპნის ზაურნის მტვირთავი მუშეჯრედის მორიგი კრება, როწყრო უჯრედების ყველა ის წესრიგში იდგა სხვასაკითხი ჟურნალი „მნამნიშვნელობის და მისი გაშესახებ; ამ საკითხზე გააკეთა ამხ. კ. სუთიძემ, აღნიშნა, რომ ჟურნ. „მნათობი“ თავისი შინაარსით განსხვავდება სხვა ჟურნალებისაგან და აუცილებლობას წარმოადგენს მისი გამოწერა და გავრცელება.

კომუჯრედმა გამოიტანა დადგენილება გამოიწეროს „მნათობი“ სულ 27 ცალი, თითო ცალი უჯრედის თვითეულ წევრზე. ამასთანავე დაევალა ადგილკომს, რათა „მნათობის“ გავრცელებას უფრო მასიური ხასიათი მისცეს.

პარტკორი. გ. კაცხელი.

კოოპერაცია

არმოკავშირის მუშაობა მაის-ივნისში

(გაგრძელება *)

ლტურული დარგი

ობის დარგში თავდება 158.000 ცალი ამერიკული ზისა და აგრეთვე სწორვეს გაშენება. ამ საქმის-ჯერობით დასარჯულია მანეთამდე. საფილოქსერო -ცალკე ორგანიზაციების თა გასაერთიანებლად შირი“-ს სანერგეს შემოუ ორგანიზაციების ცალვეების ნაკვეთები საერით 17 დესეტინა.

ობაში ჩატარებული იყო მუშაობა მოკავშირე ორის ხეხილის გასხვლისა და „წარმოკავშირი“-ს -აგრონომების ხელმძღ წევრებს დაურიგდათ საწამლო მასალა, აპარატები და ხელსაწყო და აგრეთვე ბოსტნის და მინდვრის თესლეულობა.

გარდა ამისა ჩატარებული იყო საჩვენებელი მუშაობა ხეხილის გასხვლისა და შეწამვლისა, რისთვისაც ნაჩვენები იყო 7.000 ხეხილის გასხვლა-შეწამვლა.

ძველი ბაღების გადასახალისებლად და ხილის სამრეწველო ჯიშების გასამრავლებლად განზრახულია ცენტრალური ხეხილის სანერგეს გაშენება სანამყენედ.

მეცხვარეობაში გრძელდება მუშაობა მეცხვარეობის ეკონომიური და ზოოტეხნიური გამოკვლევისათვის, თანახმად აგრიკულტურული განყოფილების მიერ შედგენილი გეგმისა. ამ მიზნისათვის მოწყობილია საზაფხულო საძოვრებზე ექსპედიციური გამოკვლევა სპეციალისტის საშუალებით, რისთვისაც „წარმოკავშირ“-ს და მის მეცხვარეთა ორგანიზაციებს გადადებული აქვთ 1.050 მანეთი.

შემდეგ აღსანიშნავია მოკლევადიანი კურსების მოწყობა ფასანაურის და კობი-ყაზბეგის რაიონში მერძეობის და საერთოდ მესაქონლეობის გაუმჯობესებისათვის, რომელსაც ხელმძღვანელობენ აგრონომები და ხარჯის დასაფარავად ჯერ-ჯერობით გაცემულია 200 მანეთი.

აგრიკულტურულ დარგში „წარმოკავშირ“-ს აქვს აგრეთვე შედგენილი შესაფერისი გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა, მაგრამ მისი შესრულება დამოკიდებულია საჭირო საშუალებათა მიღებაზე სათანადო ორგანიზაციებისაგან.

დამზადება და გასაღება.

დამზადება და გასაღების სფეროში აღსანიშნავია მატყლის, თამბაქოს, სადრიო ხილის, ბამბის, ხორბლეულის და სხვა ნაწარმოების დამზადების გაგრძელება.

განზრახული 29.000 ფ. გაზაფხულის მატყლის ანგარიშში „წარმოკავშირ“-მა მიიღო 20.000 ფუთამდე, დანარჩენის დამზადება და მიღება სწარმოებს ადგილობრივ. შეიძლებოდა უფრო მეტი მატყლის დამზადება, მაგრამ უსახსრობის და ოპერაციის გართულების გამო „წარმოკავშირი“ იძულებული იყო თავი შეეკავებინა ზედმეტი მატყლის ყიდვისაგან აღნიშნულ ოპერაციის ჩასატარებლად გაცემულია 302.400 მან. ფულით და საქონლით.

მატყლის დამზადება „წარმოკავშირ“-მა დაიწყო შინაგან ვაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასში, რომლის მიხედვით მეცხვარეს ეძლეოდა 15 მან. ფუთ მატყლში; მისი ღირებულება მოსკოვში ყველა ხარჯებით 20 მ. 90 კაპ. შეადგენდა. შემდეგ ეს ფასი სრულიად მოულოდნელად დაწეული იყო 18 მანეთამდე, რომლის მიხედვით მთავრობის დადგენილებით „წარმოკავშირი“-ს მიეცა წინადადება დაემზადებინა მატყლი მეცხვარეებისაგან 11 მანეთში იმ დროს, როდესაც მას დიდძალი მატყლი ძველ ფასებში ჰქონდა შეძენილი. მაგრამ საფეიქრო სინდიკატის ზეგავლენით ეს ფასი კიდევ დაწეულია და ეხლა მოსკოვში ჩვენ თუშურ მატყლში 17 მ. 70 კაპ. მეტს არ იძლევიან, თუმცა კოოპერაციას ეს მატყლი გაცილებით მეტი უჯდება. ჩვენი საფეიქრო მრეწველობის წარმომადგენლების ასეთმა მოქმედებამ „წარმოკავშირი“ მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. იმ დროს, როდესაც მას დიდძალი მატყლი აქვს დაგროვილი თავის საწყობებში, ჩვენი საფეიქრო მრეწველობა მას არ იძენს და ელოდება ფასების კიდევ დაწევას, რაც მეცხვარეებს და თვით კოოპერაციას ზარალის მეტს არაფერს მოუტანს. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგს განადგურება მოელის.

ამავე დროს გრძელდებოდა თამბაქოს დამზადება. ნავარაუდევი 20.000 ფუთიდან ლაგოდეხის რაიონში მიღებულია 12.000 ფუთამდე. გლეხებს მიეცათ ფულით და საქონელით 65.000 მან. დანარჩენის დამზადება, მიღება და დახარისხება სწარმოებს; ოპერაციის დაჩქარებისათვის საჭიროა ახალი კრედიტის შოვნა, რასაც ხელს უშლის თამბაქოს რეალიზაციის შეფერხება.

მიმდინარე სეზონში თამბაქოს ნათესების გაფართოვებისა და მეთამბაქოებისათვის ავანსის გასაცემად წარმოკავშირს მთავრობაში ჰქონდა აღძრული შუამდგომლობა სესხის შესახებ, მაგრამ მიუხედავათ გამოტანილი დადგენილებისა, თამბაქოს ტრესტი ვერ ახერხებს 60.000 მან. გადაცემას წარმოკავშირზე, რაც აფერხებს მუშაობის გაგრძელებას.

წარმოკავშირს აქვს ბამბის ნათესები ბორჩალოს მაზრაში და კახეთში 2.300 დესეტინის რაოდენობით. აღნიშნულ ოპერაციის ანგარიშში წარმოკავშირს აქვს გაცემული მებამბეებზე ავანსად 131.230 მანეთი. აღნიშნულ ნათესებიდან მოსალოდნელია 100.000 ფუთი ნედლი მასალის მიღება. უნდა ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პირველმა ცდამ მებამბეობის საქმეში კარგი შედეგი მოიტანა და მომავალ სეზონში ეს საქმე ერთი-ორად გაიზრდება.

მაისში და ივნისში გრძელდებოდა არაყის დამზადებაც. სულ იყო მიღებული ორგანიზაციებიდან 260.455 გრ. არაყი 43.930 მანეთის ღირებულებისა, რომელიც გადამუშავდა სპირტად ამხ. „ჰაპას“-ს ქარხანაში.

წინა თვეებში მიღებულთან ერთად დამზადებული არაყის მთელი რაოდენობა 700.000 გრ. შეადგენს. ამავე დროს მიჰყიდა ვინსინდიკატს მისი ღვინოების გამაგრებისათვის 149.239 გრადუსი გადამუშავებული სპირტი 42.935 მან. ღირებულებისა და გაიყიდა სხვა ორგანიზაციებზე 5.000 მან.

ინჟინერთა და ქიმიკოსთა კოოპერატიული ამხანაგობა „ტეხნო-ქიმი“

კოოპ. ამხანაგობის მიზნები.

ამ ორი კვირის წინად თბილისში დაარსდა ინჟენერთა და ქიმიკოსთა საწარმოო ამხანაგობა „ტეხნო-ქიმი“. ამხანაგობა მიზნად ისახავს შეუდგეს იმ ნედლეულობის გადამუშავებას, რომელიც საქართველოში უხვად არის და რომლის დასამზადებლადაც ამხანაგობას ტეხნიკური საშუალება მოეპოება. ამხანაგობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ საქონლის დამზადებას, რომელზედაც რუსეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილება არსებობს.

ამხანაგობის ძირითადი მოსაქმეობას ამ ახლო-მომავლისათვის შეადგენს ე. წ. ქვა-ღვინის სიმჟავის დამზადება. ქვა-ღვინის სიმჟავე უმთავრესად იხმარება საფეიქრო წარმოებაში და ამ ჟამად საფეიქრო მრეწველობის აღდგენის გამო მისი მოთხოვნილება რუსეთის ბაზარზე დიდია, ხოლო მისი საწარმოო ქარხნები საბჭოთა კავშირში ნაკლებად არის. ამ სიმჟავეს ქიმიურ გადამუშავების გზით ამზადებენ უკვე გამოხდილ ჭაჭისაგან, რომელიც სხვა დანიშნულებისათვის გამოუყენებელია, ამხანაგობაც ჰფიქრობდა თავისი უახლოესი მოსაქმეობა ამ ნედლეულის დამზადებაზე დაამყაროს.

ამხანაგობა კისრულობს აგრეთვე ყოველგვარ სუფთა მარილების დამუშავებას და საქართველოს რესპუბლიკის სასწავლებლისთვის პრეპარატების დამზადებას.

იმ ტეხნიკური საშუალებებით, რომელიც ამ ჟამად ამხანაგობას მოეპოება, მას შეუძლია დაამზადოს გლაუბერის მარილი, აზოტის სიმჟავე და სელიტრა.

ამას გარდა ამხ. „ტეხნო ქიმი“ თავისი მოქმედების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ისახავს აწარმოვოს ყოველგვარი გასაყიდი საქონლის ქიმიური ანალიზი და დაეხმაროს საქართველოს სამეურნეო ორგანოებს შესაძენი საქონლის ღირსების გამორკვევაში. ამავე დროს ამხანაგობა კისრულობს, როგორც სახელმწიფო ორგანოებიდან ისე კერძო დაწესებულებათაგან შეკვეთების აღებას და ქიმიური ქარხნების პროექტების შედგენას.

„ტეხნო ქიმის“ სამოქმედო ასპარეზი მრავალმხრივია, ხოლო მიზანი კი ერთი: ხელი შეუწყოს ამომღები და დამუშავებული ქიმიური წარმოების განვითარებას საქართველოში.

ამხანაგობის ძირითადი საშუალებანი

ამხანაგობამ მუშაობის დასაწყებად აიღო ბილანაშვილის ქიმიური ქარხანა ლენინის ქუჩაზე.

ქარხანა დღემდე შეჩერებული იყო. მრავალი მანქანა და ხელსაწყო საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. საერთოდ ქარხანას მოეპოება საკმაო იარაღები და ლაბარატორია განზრახულ სამუშაოების საწარმოებლად. იქვე დარჩენილია დაახლოვებით 2 ათასი მანეთის ნედლი მასალა, რომლის გადამუშავებას ამხანაგობა უკვე შეუდგა. ქარხანას უკვე მოდის სხვა და სხვა შეკვეთები. საპაიო თანხა ჯერ-ჯერობით მცირეა, რადგან წევრთა რაოდენობა განსაზღვრულია.

ამხანაგობა—„ტეხნო-ქიმი“ უკვე მიღებულია „წარმოკავშირის“ წევრად. წარმოკავშირმა აღუთქვა ამხანაგობას უშუამდგომლოს ბანკების წინაშე ტეხნო-ქიმიისთვის კრედიტის გახსნის შესახებ.

ამხანაგობას ქარხნის შესაკეთებლად და აუცილებელ მარაგის შესაძენად სჭირია დაახლოებით 10 ათასი მანეთის სესხი.

ქარხანაში ლაბარატორიულ და ყოველგვარ შავ მუშაობას ასრულებენ ამხანაგობის წევრები, რომელთა შორის არიან სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტები-ქიმიკოსები მაჯაგალაძე და ცაგარელი (ცენტრ. სამეურნეო ლაბარატორიების გამგე) სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტეხ. ინსტიტუტის პროფესორი ინჟ. ტეხნოლოგი ფილოტოვი, ინჟ.-ტეხნოლოგი მიკროპულო, ქიმიკოსი გ. ციციშვილი და სხვები.

X.

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს სამდივნოში

პროფსაბჭოს სამდივნომ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის აღმასკომის წინაშე მუშა-მოსამსახურეთათვის დილ-დილობით თავის დროზე ტრამვაის ვაგონების მიცემის შესახებ.

დახურულ დარაბების შესახებ.

პროფსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის აღმასკომის წინაშე მუშათა ბინებისათვის იმ დარაბების გამოყენების შესახებ რომლებიც ამ ჟამად დაკეტილია და არ იცემა იჯარით.

კავშირის ფულის გამფლანგველ, ადგილკომის ბაბაჯანოვის შესახებ.

პროფსაბჭოს სამდივნომ მოისმინა გემო-კვების კავშირის ოქმიდან ამონაწერი სასაკლაოს მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომის მდივნის ბაბაჯანოვის შესახებ.

ბაბაჯანოვს ბრალდება კავშირის საწევრო ანარიცხის 1993 მან. და 13 კაპ. გაფლანგვა.

სამდივნომ წინადადება მისცა გემო კვების კავშირს გამორიცხოს ბაბაჯანოვი კავშირიდან და საქმე გადასცეს პროკურორს.

დახმარება განათლების მუშაკთა კავშირის წევრებს

პროფსაბჭოს სამდივნოს დადგენილებით წაღვერში მოაქიმე ავადმყოფ განათლების მუშაკთა წევრებს დასასვენებელი სახლიდან დამატებით მიეცემათ ხუთი უფასო სადილი.

წყალსადენი წაღვერში

წაღვერში წყალ-სადენის გასაყვანათ პროფსაბჭოს დასასვენებელ სახლების ფონდიდან გაიღო 3.500 მან. სესხის სახით.

დამზღვევი თათბირი

პროფსაბჭოს დადგენილებით ეწყობა დამზღვევი თათბირი, რომელშიაც წარმომადგენლათ შევლენ პროფკავშირთა საბჭოს, ცალკე კავშირების და შრომის კომ. შრომის დაცვის განყოფილების წარმომადგენლები.

თავმჯდომარეობა ეკისრება ამხ. ელბაქიძეს, მის არ ყოფნის დროს—ამხ. ბუაძეს.

საწევრო წიგნაკი იმავე დროს პირადობის მოწმობაც იქნება.

პროფსაბჭომ აღძრა შუამდგომლობა შრ. სახ. კომისარიატთან დადგენილების შესახებ, რომლის ძალითაც პროფკავშირის საწევრო წიგნაკებს მიეცემა პირადობის მოწმობის ძალა.

ცალკე კავშირთა მორიგი ყრილობის შესახებ.

პროფსაბჭოს სამდივნომ მიანდო საორგანიზაციო განყოფილებას მოელაპარაკოს რკ. გზელთა და საბჭოთა მუშაკების კავშირებს მორიგი ყრილობის შესახებ.

მიენდო მასვე შეუთანხმდეს ცალკე კავშირების ყრილობის მოწვევის დროს შესახებ.

დღის წესრიგის შემუშავება და არჩევის ნორმა ევალება თვით კავშირებს.

„სახალხო კვების“ საზოგადოების შესახებ.

პროფსაბჭოს სამდივნომ საჭიროთ სცნო დამოუკიდებელი „სახალხო კვების“ საპაიო ამხანაგობის დაარსება.

რკინის გზებზე

— **ტელეგრაფის ხაზის შეკეთება რკ. გზ.-ზე.** ამ ჟამად რკ. გზებზე შეკეთებულია ტელეგრაფის ხაზი 392 ვერსზე, რაც ა. | კ. რკ. გზ. მთელი სიგრძის 13 პროც., შეადგენს.

— **ელექტრო-ზარით სანიშნებელი.** სამმართველომ გადასწყვიტა აღადგინოს ელექტრო-ზარით სანიშნებელი. სანიშნებელი უკვე აღდგენილია ხრამის, სოღანლუღის და სხვა ხიდებთან.

— **ელსადგური შორაპანში.** რამოდენიმე დღის წინათ სად. შორაპანში გაიხსნა ელსადგური, რომელიც მახლობელ სადგურებსაც მისცემს სინათლეს.

— **მექანიკური პედალი.** უბედურ შემთხვევათა წინააღმდეგ მებრძოლმა კომისიამ საჭიროთ სცნო საშიშ ადგილებზე მოაწყოს მექანიკური პედალები (გვირაბის პედალების მზგავსი) ხმიანი სანიშნებლით.

— **ტელეფონი დარუბანდის უბანში.** ა. | კ. რკ. გზების სამმართველომ დარუბანდის უბანში ტელეგრაფის ერთი ხაზი შესცვალა ტელეფონის ხაზით.

— **მატორების შეკეთება.** ამჟამად სწარმოებს თბილისის ელსადგურის ყველა მატორების კაპიტალურათ შეკეთება.

— **გზების შესაკეთებლად.** კომისიამ საჭიროდ სცნო მიიღოს ზომები გზების შესაკეთებლად. მათივე აზრით, საჭიროა გზების დარაჯთა ინსტიტუტის აღდგენა.

— **მუხრუჭების შეკეთება.** უბედურ შემთხ. წინააღმდეგ მებრძოლმა კომისიამ საჭიროდ ჩასთვალა მიიღოს უსასტიკესი ზომები მუხრუჭების შესაკეთებლად.

— **მატ. სიჩქარის შესახებ.** კომისიის აზრით, როგორც სამგზავრო, ისე საბარგო მატარებლებს სიჩქარე უნდა მოაკლდეს.

— **ორთქლმავლებზე ნორმალური მუშაობისათვის.** ვინაიდან თბილის-განჯის ხაზზე მემანქანეთ უხდებათ 17—20 საათი მუშაობა უკან დაბრუნებით, რაც ძლიერ ღლავს და ასუსტებს მათ, ამისთვის კომისიამ საჭიროთ სცნო აღნიშნულ ადგილებში მიმოსვლისათვის შემოიღოს ორცვლიანი ბრიგადა.

წითელ ჯარში

მეხუთე ლეგიონის ზეიმი

ყოფილ მესამე მსროლელ ლეგიონმა და აწ უკვე მე-5 ტერიტორიალურმა ამ რამდენიმე დღის წინეთ ზეიმით გადაიხადა თავის არსებობის სამი წლის თავი.

არჩეული იქნა დღესასწაულის მომწყობი კომისია.

გამშვენიერდა ბანაკი ლოზუნგებით, პლაკატებით, წითელ არმიის და კომუნიზმის ბელადების სურათებით; ამუშავდენ წრეები, მოირთო ბიბლიოთეკა და „წითელი კუთხეები“.

ამ დღისათვის გამოუშვეს სადღესასწაულო ნომერი კედლის გაზეთისა.

წინა ღამით ქალაქ № თეატრში მოეწყო საზეიმო საღამო, რომელსაც დაესწრნენ, როგორც მოზეიმე ლეგიონერები, ისე აქ საბანაკოდ მდგომი ქართული, რუსული, სომხური, აზერბეიჯანული ნაწილები და მოპატიჟებული სტუმრები.

წარმოითქვა სიტყვები ლეგიონის განვლილ დამსახურებასა და მომავალ მის აყვავებაზე, გულმხურვალე მილოცვები და სხვა, რომლის შემდგომ ლეგიონის დრამატიულმა წრემ წარმოდგენა გამართა.

მეორე დღეს მშვენიერი დარია. მეორე დივიზიის ყველა ნაწილებმა მოიყარეს თავი მინდორზე.

საზეიმო კრებას ხსნის სამხკომი, ამხ. ბარამიძე და მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან პირველი დივიზიის უფროსი, ამხ. ს. ლევქთაძე, მეორე დივიზიის უფროსი, ამხ. ნ. ენუქიძე, ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტის სახელით: ამხ. დედღარიანი და აქ საკარვოდ მდგარ როგორც ქართული, ისე რუსული, აძერბეიჯანის და სომხეთის კურსანტების და ნაწილების წარმომადგენლები.

ყველა აფასებს ლეგიონის დამსახურებას, ყველა ულოცავს გულით, ყველა უსურვებს აყვავებას, ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს.

მისასალმებელ დეპეშებს ღებულობენ როგორც კ. წ. დ. არმიის უფროსის, ამხ. პუგაჩოვისაგან, ისე სხვებისაგან. ბოლოს გაიმართა ლეგიონის სასპორტო წრის შეჯიბრება, სადაც წითელ-არმიელმა, სპორტსმენებმა გამოიჩინეს თავისი მომზადება, რომლითაც ნასიამოვნები დარჩნენ, როგორც სამხედრო პირნი, ისე მუშები და გლეხობა, რომელთაც დღესასწაულზე ბლომად მოეყარათ თავი.

ზეიმი მთავრდება სიმღერით და ცეკვით, რომლის შემდეგ გაიმართა მეგობრული სადილი.

№ ლეგიონში

მსოფლიო იმპერიალისტურ ომის ათი წლის თავის აღსანიშნავად ჩვენს საზაფხულო ბანაკში გაიმართა საღამო, რომელსაც დაესწრო მთელი ლეგიონი და წარმომადგენელნი მუშებისაგან.

უკრავდა ჩვენი მუსიკა.

ამ დღისათვის საგანგებოდ მოწყობილი კარავ-სამკითხველო და ჩვენი კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი ყველას ყურადღებას იპყრობს.

გამშვენიერებულია კარვები და მთელი ბანაკი.

დღით დასიცხული მიდამო საღამოს გრილ სიოთი ისწორებს ფრთებს და ახალისებს ლეგიონს.

გაჩირაღდნებული თბილისი—ამაყი ფუნიკულიორით გადმოსცქერის ბანაკას, კლუბი აივსო არმიელებით.

აიხადა ფარდა. სიტყვებს ამბობენ ჩვენი სამხკომი, ამხ. ბაახია, მუშათა წარმომადგენლები და სხვები.

მოხსენების შემდეგ ჩვენმა დრამწრემ დასდგა ერთაწმინდელის სამ მოქმედებიანი სამხედრო-რევოლიუციონური პიესა: „სიკვდილით დასჯა“.

ძველი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

დადგენილებანი სასკოლო საქმის შესახებ

მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ მოისმინა უფროსი ინსპექტორ ს. გობაძის მოხსენება სასკოლო-განმანათლებელ საქმის მდგომარეობის შესახებ და გაუგზავნა განათლების სახალხო კომისარიატს ცნობათ და სახელმძღვანელოთ შემდეგი თავისი დადგენილებანი: 1) გამომუშავებულ იქნეს არსებულ კონსტიტუციის ფარგლებში დებულება საქართველოს და ავტონომიურ რესპუბლიკების აკადემიურ მუშაობის ურთიერთ დაკავშირებისათვის, 2) სასწავლო გეგმების გამომუშავება სოციალურ აღზრდის და პროფესიონალ-ტეხნიკურ დაწესებულებებისათვის დაევალოს სახელმწიფო სამეურნეო საბჭოს, რომელთანაც ამ მიზნით უნდა მოეწყოს სათანადო აპარატი, 3) გაუქმებულ იქნეს რკინის გზის სკოლების სექცია და ამ სკოლების ხელმძღვანელობა დაევალოს განათლ. სახ. კ-ის სასკოლო განყოფილებას, 4) გაუქმებულ იქნეს პროფესიონალ - ტეხნიკურ განათლების მთავარმართველობის კოლეგია რა საკითაც ის ამჟამათ არსებობს და მის ნაცვლათ მოეწყოს ისეთი კოლეგია, როგორიც არსებობს სოციალურ აღზრდის მთავარმართველობასთან ე. ი. მთავარმართველობის გამგის, განყოფილებათა გამგეების და მთავარ ინსტრუქტორის შემადგენლობით სათათბირო ორგანოს საფუძველზე, 5) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საგანმანათლებლო მუშაობას აღმოსავლეთ საქართველოში, ოსეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში და აგრეთვე მაჰმადიანთა შორის. გაძლიერებულ იქნეს პროპაგანდა მაჰმადიანთა შორის ქალების სასწავლებლისაკენ მიზიდვის მიზნით, 6) მიღებულ იქნეს ზომები საბავშვო თეატრების და კინო-თეატრების დასაარსებლათ, 7) ყურადღება მიექცეს ჰიგიენურ-სანიტარულ პირობების დაცვას სკოლებში, 8) განმეორებულ იქნეს სოფლის მასწავლებელთა კურსები უფრო ფართო მასშტაბით, ვიდრე ეს იყო გასულ წელს, 9) ყურადღება მიექცეს ქართული ენის სწავლას ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში და სხვა.

გამომუშავებულია აგრეთვე კონკრეტიული ზომები სასკოლო საქმის ფინანსიურ-სამეურნეო საკითხებში.

ქრონიკა

— **ქალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა დაამტკიცა მუშაობის გეგმა ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ.

— **ახალი ფ.-ტელეგრ. განყოფილება.** ა. კ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ სოფ. ბაშში (ქუთ. მაზრა.) გახსნა ფოსტა-ტელეგრ. განყოფილება.

— **უპატრონო ბავშვთათვის,** უმაღლესმა ეკ. საბჭომ საქ. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატს უთავშესაფრო ბავშვთა საჭიროებისათვის მისცა 12.000 მან.

— **ტალახით მკურნალობა.** შალამოვის აბანოებში დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთათვის დაიწყო ტალახით მკურნალობა,

— **პროფესიონალურ ავადმყოფობათა საავადმყოფო.** ამხ. კამოს სახელობის პროფესიონალურ ავადმყოფობათა საავადმყოფოში დაიწყო ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთა მიღება.

წითელი ჯვრის საზოგადოებაში. სრ. საქ. ცენტ. აღმას. კომიტეტმა დაამტკიცა გეგმა წითელი ჯვრის საზოგადოების წევრებისათვის გულზე სატარებელ ნიშნის შესახებ.

— **საკურორტო ტყეები.** სრ. საქართ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა მიიღო დადგენილების გეგმა საკურორტო ტყეების დაცვის შესახებ.

— **შრომის დროის და მუშათა ხელფასის აღრიცხვა** სრ. საქ. ცაკმა მიიღო გამოსაქვეყნებლათ გეგმა საქართველოს, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის მიწა-წყალზე შრომის დროის და მუშათა ხელფასის აღრიცხვის შესახებ.

— **წყალთა მეურნეობა.** საქარ. სახკომსაბჭომ დაადგინა მიწ.-მოქმ. კომისარიატთან დაარსოს წყალთა მეურნეობის განყოფილება და მისი წესდების გამომუშავება მიანდოს მიწად-მოქმედ. კომისარიატს.

— **ზემო-სვანეთის ხარჯთ-აღრიცხვა.** უმაღ. ეკონომ. საბჭომ დაამტკიცა ზემო-სვანეთის ხარჯთ-აღრიცხვა 79.370 მან. რაოდენობით.

— **ღვინის სპირტის ყიდვა-გაყიდვა.** 15 აგვისტოსთვის განზრახულია მეღვინეთა სპეციალისტების თათბირის მოწვევა, რომლის მიზანია ღვინის, სპირტის ყიდვა-გაყიდვის მოწესრიგება.

— **ფრენა მანგლის - თბილისს შორის.** მანგლისში უკვე მოეწყო აეროდრომი. ჰაეროპლანი თბილისიდან მანგლისში დაფრინავს დღეში ორჯელ დილის 7 და 8 საათზე. გადაფრენა ღირს 10 მან. (სულზე).

— **საფუთო გადასახადი შავ ქვაზე.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადებით მიმართა უმაღლ. მეურნეობის საბჭოს, რომ მან წარმოადგინოს გეგმა განსახილველად შავ ქვაზე საფუთო გადასახადის დაწესების შესახებ.

— **დიდი გზა-ტკეცილის გაყვანა.** სამხრეთ-ოსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა გადაწყვიტა ცხინვალ—როკის მიმართულებით გაიყვანოს დიდი გზა-ტკეცილი.

—

გამომცემლობა

ჟურნალი „ახალგაზრდა ლენინელი“ № 6—7.

რედაქციამ მიიღო საქ. ახალგ. ლენინელთა ცეკას ყოველთვიური საპოლიტიკო-სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალ „ახალგაზრდა ლენინელი“-ს № 6—7 (25—26), შემდეგი შინაარსით:

1. ს. ა. ლ. კ. კ. მე-7 ყრილობის რეზოლიუცია ჟურნალ „ახალგაზრდა ლენინელ“-ის შესახებ. ლენინიზმი 2 გ. პოკროვსკი—ლენინი, როგორც რევოლიუციონური ბელადის ტიპი, 3. პ. სტუჩკა—ლენინი და აგრარული საკითხი.

4. კაკი ეწერელი—მანქანის რკალიდან (ლექსი) 5. ა. მაშაშვილი—ისტორია (ლექსი) 6. მ. პროტუსევიჩი და ი. საბლინი ერბეს და კომპანიის საქმე (გაგრძელება). 7. ლ. ტროცკი—პარტიული პოლიტიკა ხელოვნებაში. 8. ვ. ლუარსამიძე—რუსეთის ლიტერატურული სინამდვილე 9. შ. რადიანი—პროლეტარული ლიტერატურა და ყოფა-ცხოვრება.

10. ვლ. ჩხენკელი—დარვინიზმი ანუ ორგანიზმების წარმოშობის ევოლიუციონური თეორია (გაგრძელება) 11. ე. ვასაძე—დარვინიზმი და მარქსიზმი (დასასრული).

12. ნ. ლენინი—მკვდარი შოვინიზმი და ცოცხალი სოციალიზმი. 13 ნ. ლენინი —შემდეგრა? 14. დ. გვაზავა—მსოფლიო ომის ათი წლის თავი. 15. კაპიტალიზმის კრიზისი გერმანიაში.

16. როგორ მუშაობდა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი. 17. ო. უნგერი—საერთაშორისო მოძრაობის საკითხები და ახალგაზრდათა კომინტერნი. 18. კომკავშირი სხვადასხვა ქვეყნებში.

19. ა. კეკელია—ჩვენი კავშირის უახლოესი ამოცანები, 20 ნ. ბუხარინი—ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდა და ლენინიზმი. 21. ა. მდივანი—ჩვენი მიღწევები და უახლოესი ამოცანები ლენინის სახელობის ბავშვთა კომჯგუფებში. 21. შახდინ—სოციალური აღზრდა ბავშვთა კომჯგუფებში. 23. ბავშვთა მოძრაობის საკითხები.

24. **ერმოლი**—ძლეოსნობა. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ჟურნალში მოთავსებულია ცნობილ კომუნისტ-მხატვარ ჟორჟ-გროსის სურათი **„ვის რა მისცა ომმა“**, გერმანიის კომუნისტ ხელოვანთა გაერთიანების **„წითელი ჯგუფი“**. მანიფესტი, წერილი ჟორჟ გროსსზე და სხვა. ჟურნალი სუფთადაა გამოცემული, შეიცავს 108 გვერდს და ღირს 60 კაპ.

ხელოვნება

მე-6 სიმფონიური კრება

მეექვსე სიმფონიური კრება მიძღვნილი იყო რუსული მუსიკის ისტორიის პირველი პერიოდის კომპოზიტორების შემოქმედებისათვის.

პროგრამის კარდინალური ნომერი იყო ბოროდინის 1-ლი სიმფონია. ამ სიმფონიაში სჩანს ბოროდინის დიდი მუსიკალური ნიჭის განსაკუთრებული თვისებები. ბოროდინის ნაწარმოებებში ქვა კუთხედათ მიღებულია არა მელოდიური მხარე, არამედ ჰარმონია, თავისებური მელოდიკა და რიტმი.

სტოლერმანი სისწორით მიუდგა ამ სიმფონიას და საუცხოვოთ ჩაატარა ის; აღსანიშნავია ორკესტრის მწყობრი და შეთანხმებული შესრულება, განსაკუთრებით სიმფონიის პირველ სამ ნაწილში.—მეოთხე ნაწილი ყველაზე უფრო მკრთალია.

გლინკას „კამარინსკაია“ და დარგომიჟსკის „კაზაჩოკ“-ი, რომელიც შეტანილი იყო პროგრამაში, არ არის თვალსაჩინო ნაწარმოებები არა მარტო რუსული მუსიკის ისტორიაში, არამედ ამ კომპოზიტორების სხვა ნაწარმოებებს შორისაც კი.

ეს არის რუსული ხალხური მელოდიები ნიჭიერათ გადალაგებული ორკესტრზე. თემების სხვადასხვაობის უქონლობა ამ ნაწარმოებებს უკარგავს მუსიკალურ ინტერესს.

მეტათ მოხდენილია „სურათები გამოფენიდან“—მუსორგსკის. ამ ნაწარმოებებში ასახულია მთელი რიგი შთაბეჭდილებებისა, რომლებიც მიიღო მუსორგსკიმ იტალიაში და საფრანგეთში მოგზაურობისა და რუსეთის მიყრუებულ სოფელში ცხოვრების დროს. ნაწარმოებში დაცულია იმ ქვეყნის სტილი, რომლის სურათსაც გადმოგვცემს ავტორი მუსიკით.

სტოლერმანმა აქაც დიდი ნიჭი და ტემპერამენტი გამოიჩინა; ის საორკესტრო ლამაზ პერიოდებით საუცხოვოთ გადმოგვცემს კომპოზიტორის შთაბეჭდილებას და აზრებს.

სოლისტათ კონცერტზე გამოვიდა სახელმწიფო ოპერის მომღერალი დრონზდო-პოლიაევი, რომელმაც შეასრულა არია გლინკას ოპერიდან „რუსლან და ლიუდმილა“.

იქ, სადაც საჭიროა კანტილენა, პოლიაევი საუცხოვოთ მღერის, მაგრამ იქ, სადაც საჭიროა ხმის განვითარებული ტეხნიკა, სჩანს დეფექტები (არიის ფინალი და დარგომიჟსკის დონ-ჟუანის მთელი სერენადა).

პ. ბ.

—

— **პროლეტარულ პოეზია-მუსიკის საღამო-კონცერტი.** დღეს, 6 აგვისტოს, არტოს თეატრში (პლეხანოვის პროსპექტი № 105) გაიმართება პროლეტარულ პოეზია-მუსიკის საღამო-კონცერტი. მონაწილეობენ პროლეტარული პოეტები ნ. ზომლეთელის ხელმძღვანელობით, აკადემიური გუნდი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით და სხვანი. გუნდი ახალ ნომრებს შორის შეასრულებს საპირველმაისო ჰიმნს.

ძმ. კავსაძეების კონცერტები.

— **სახალხო მომღერალნი და ლოტბარნი ძმ. კავსაძენი** ამ დღეებში გაემგზავრებიან კონცერტების გასამართავად მთელ საქართველოში.

პროვინციაში

უწყლობის გამო გლეხობა სტოვებს შირაქის რაიონს

შირაქის რაიონი (სიღნაღის მაზრა) უწყლობით იტანჯება. უწყლობის გამო უკვე დაიწყო გლეხების მასიური გადასახლება შირაქის რაიონის სოფლებიდან. ჯერ-ჯერობით იქიდან გადასახლდა 80 გლეხი.

შირაქს „პურის კიდობანს“ უწოდებენ და საჭირო იყო ასეთი მოსავლიანი მხარეში გლეხობა როგორმე მყარად დაგვესახლებინა, რომ ეს საზღაპრო მოსავლიანი და გამოსადეგი მიწის ნიადაგი სათანადოთ გამოგვეყენებინა, ამის მაგიერათ გლეხობა სტოვებს ამ სოფლებს და მიეშურება ისეთ ადგილებისკენ, სადაც წყლით უზრუნველყოფილი იქნება. ახლო წარსულში შირაქის რაიონის გლეხობამ რამოდენიმეჯერ მიმართა სიღნაღის აღმასკომს, რომ მას წყლის გამოსაყვანათ გაეგზავნა ქედში ტეხნიკოსი. გლეხობა თვითონ კისრულობდა ყოველგვარ ხარჯებს წყლის გამოსაყვანათ, მაგრამ სამაზრო აღმასკომმა ტეხნიკის მიწოდებაც ვერ მოახერხა. სამაზრო აღმასკომის უყურადღებობის გამო გლეხობა იძულებულია აიყაროს და მიატოვოს ეს ადგილები.

ეს არანორმალური და დამაფიქრებელი მდგომარეობაა; მას სერიოზულად უნდა მიაქციოს ყურადღება, მაზრის აღმასკომმა, და დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა ამ რაიონის წყლით უზრუნველსაყოფათ.

ქედელი.

ამაშუკეთის რაიონი (შორაპნის მაზრა)

ოთხი თვეა, რაც ამ რაიონში ადგილობრივ აღმასკომის მახლობლად დაარსდა მთლიანი კოოპერატივი „ეპო“. მიუხედავად იმისა, რომ ამ კოოპერატივს ძალიან ცოტა წევრები ჰყავს ჯერ-ჯერობით და მისი თანხაც უმნიშვნელოა, გამგეობის ენერგიული მუშაობით ეს კოოპერატივი დიდძალ ფართლეულს აწვდის გლეხობას იაფ-ფასებში. აქამდის თუ ამ უბნებში ჩარჩი ვაჭრები ტყავს აძრობდნენ გლეხებს (ვინაიდგან ეს რაიონი დაშორებულია ცენტრს), დღეს ასეთებს სავსებით ველარ შეხვდებით. გლეხობა დიდათ კმაყოფილია კოოპერატივით და მისი წევრთა რიცხვი დღითი დღე იზრდება.

ნისტი“ № 175.

მუშათა ცხოვრება

იაფი პური მუშებს

(მუშკოოპის საყურადღებოდ)

ლადო დუმბაძის ქ., № 9, მუშკოოპმა გახსნა პურის დუქანი № 11. ამ დუქანში დილით, 6—7 საათამდე პური უკვე მოტანილია. იშვიათი შემთხვევაა, რომ ამ დროს პური არ იყოს აქ მოტანილი. იყიდება როგორც ფურნის, ისე თორნის პური, ორის ხარისხის და კაპეიკით განსხვავებაა ბაზრის ფასებთან. სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ **მუშკოოპის პური ღირსებით გაცილებით უმჯობესია ბაზრის პურზე**—სუფთაა და გამომშრალიც და მიუხედავად იმისა, რომ ეს დუქანი სულ რამოდენიმე დღეა რაც გაიხსნა, პური კი სალდება 40 ფუთამდე.

ამ დუქანს ერთი ნაკლი აქვს, ეს **არის მისი სიპატარავე და ვერ არის თვალსაჩინო ადგილას.**

ამ უბანში შვიდამდე მუშათა სახლია და მოსალოდნელია, რომ ამ დუქანს ბევრი მუშები მოაწყდეს. პუშკინის ქუჩაზე მუშკოოპი ჰყიდდა პურს მაგრამ ამ უბნის მუშები მაინცადამაინც არ ეტანებოდენ მას. **პურის დუქანი № 11 კი სწორედ შიგ მუშების ცენტრშია. ამ დუქნის გახსნისათვის ჩვენი უბნის მუშები დიდი მადლიერი არიან მუშკოოპის.** მუშებს უკვე აღძრათ მადა და ჰფიქრობენ მიმართონ მუშკოოპს თხოვნით, რომ მან გახსნას ჩვენს უბანში საბაყლო დუქანიც. აქ ბევრი კარგი დუქნებია, მხოლოდ ისინი უნდა გადაიყვანონ სხვა ადგილზე და **მუშკოოპის დუქნებს კი უფრო თვალსაჩინო ადგილი და დიდი დუქნები უნდა მივსცეთ.**

მუშა ლ.

„ცენტროტრამოტა"-ში.

(ტრანსპორტელების კავშირის საყურადღებოდ).

„ცენტროტრამოტა"-ს გარაჟში, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ ხანებში საკმაოდ დაგროვდა დეფექტები, რის შესახებაც ჩვენ, ადგილობრივი მუშები, ვატყობინებთ ჩვენს კავშირს —1. დაიგვიანა სპეცტანსაცმელის მიცემამ მუშებისათვის. უკანასკნელნი ვთხოვთ დროზე იყოს შესრულებული დადებული კოლექტიური ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ყოველ ექვს თვეში უნდა მოგვეცეს სპეცტანსაცმელი. გარაჟს ამჟამად კარგი შემოსავალი აქვს და რა არის მიზეზი მუშებთან ამ პირობის შეუსრულებლობისა, არ ვიცით; 2. „ცენტროტრამოტა"-ს მუშები საყვედურით მიმართავენ ტრანსპორტელების კავშირს: სად არის მათი ყურადღება კულტხელმძღვანელობის დარგში? აქ არ არის კლუბი, ბიბლიოთეკა, არ იმართება მოხსენებები, ლექციები და სხვა. მუშები ყოველივე ამას მონატრული არიან, **აქაურ კულტკომისიას სძინავს.** 3. არ არის დაცული შრომის შინაური წესრიგი, არ არის მოწყობილი ხელ-პირის საბანები და სხვა. 4. ტრანსპორტელების კავშირის მიერ თავის მუშებისათვის საცხოვრებლად ალებულ სახლებში სცხოვრობენ ბევრი არა კავშირის წევრები. კავშირის წევრები კი უბინაოდ ვართ: ზაფხულისათვის გვპირდებოდით ამ საკითხის მოგვარებას. აი ზაფხული გადის—და თქვენ ვერ მოაწესრიგეთ ეს საქმე.

დასასრულ, იმ მიზნით, რომ საარსებო საგნების გაიაფების ცდა იყო, დაკლებულ იქნა ჯამაგირები, ნამდვილად კი უკანასკნელად გადიდებულ იქნა პურზე ფასი. რაშია საქმე? მიაქციეთ ამ გარემოებას ყურადღება.

მუშკორი ჩხეიძე.

სოფ. ალბულაღზე შეფობა

მე-3 თამბაქოს ქარხნის მუშები აკოფოვი და სტეფანოვი 26 ივლისს გაემგზავრენ სოფ. ალბულაღში, რომელიც ჩვენი ქარხნის შეფობის ქვეშ იმყოფება. მისვლისას მათ დაუხვდათ დიდი მიტინგი. ომის და შეფობის შესახებ მოხსენებები გააკეთეს ამხ. სტეფანოვმა და აკოფოვმა. მოხსენების შესახებ გლეხების მიერ მიღებული იქნა შესაფერისი რეზოლიუცია. შემდეგ გლეხების თხოვნით საშეფო კომისიის წევრებმა დაათვალიერეს სოფლის მოსავალი. აქ გამოირკვა ფრიად უნუგეშო სურათი. თითქმის მთელი მოსავალი სიმინდის, ხორბლის და კართოფილის დამწვარა გვალვის გამო. გლეხები მეტად გულგატეხილი არიან. ზოგი მათგანი უკვე ერეკება თავის მარჩენალ ხარებს ქალაქში გასასყიდათ ზამთრის მარაგის საყიდლად. საჭიროა ამ კუთხეს მიექცეს მთავრობის ყურადღება.

მუშა-მეთამბაქოე.

ღვინის ჩარჩები უნდა აილაგმონ

(მე-11 უბნის მილიციის საყურადღებოდ).

გროზნენის, ანევის და ვლადიმიროვის ქუჩების ეზოებში სცხოვრობენ რკ. გზის მუშა-მოსამსახურეები, რომელთა შორის ბევრი ეწევა ღვინით სპეკულიაციას თავთავიანთ ბინებში, რითაც ჩირქს სცხებენ სხვა პატიოსან რკინის გზელებს, საჭიროა ადგილობრივმა მილიციამ ენერგიული ზომები მიიღოს ჩარჩების წინააღმდეგ.

მუშკორი მიხეილ სადაგიშვილი.

რკინის-გზელებში

როგორ ისვენებენ რკინის გზელი მუშები დასასვენებელ სახლებში

ჩავედით თუ არა წაღვერში, მაშინვე მოგვთხოვეს პირადობის მოწმობები და გაგვატარეს რეგისტრაციაში. შემდეგ ამისა მოგვათავსეს დასასვენებელ სახლებში, ზოგან სამი და ზოგან ორი კაცი თითო ოთახში. აქ არის სუფთა ლოგინები. დასასვენებელი სახლების რაოდენობა აღწევს თერთმეტამდის. იტევს 150 კაცს. დამსვენებლებს აქვთ საერთო სასადილო. სადილობს ერთად—140 კაცი. აქვთ კარგათ მოწყობილი სამზარეულო. აქ სისუფთავე დაცულია სრულებით. მუშები დილის 8 საათზე ჩაის და საუზმეს ორი კვერცხით და ერთი ჭიქა რძით მიირთმევენ. პური თეთრი აქვთ, რამდენიც უნდათ. დღის 2 საათზე სადილობენ. სადილი შესდგება ორი კერძისაგან, მზადდება სუფთად და გემრიელიცაა; გამოცდილი მზარეული ჰყავთ. საღამოს 8 საათზე მუშებს ეძლევათ ჩაი და რაიმე შემწვარი, ან ტკბილი ფლავი.

საღამოს ვახშმობის შემდეგ 10 საათამდის თავისუფლები არიან მუშები. 10 საათის შემდეგ ყველა უნდა თავთავის ადგილას იყოს და არ უნდა ხმაურობდეს. ამ მხრივ საუცხოვო წესრიგია, რადგან აქ ისვენებენ მუშა-მშრომელები, რომელნიც შემდეგ დასვენებული და აღდგენილი—ენერგიით განაგრძობენ ჩვეულებრივ მუშაობას და შექმნიან სიმდიდრეს თავის საბედნიეროდ.

აი როგორ ისვენებენ ჩვენი მუშები აგარაკებზე.

მუშკორი—მესხეთელი.

მუშების ხმამ უნდა გასჭრას.

(რკ. გზ. სამმართველოს და საუბნო კავშირის საყურადღებოდ).

ყოველ დღე ვხედავთ ჩვენ გაზეთების ფურცლებზე მუშების წერილებს თავისი ჭირ-ვარამის გამოსასწორებლად, მხოლოდ ჯერ კიდევ რამოდენიმე ნაწილი არ არის მოგვარებული.

თბილისის მთ. სახელოსნოს სამჭედლო ცეხში ძალიან ძნელ პირობებში უხდებათ ხელოსნებს და ჩაქუჩის დამკვრელებს მუშაობა. გასულ თვეებში მთავარ სახელოსნოს ადმინისტრაციამ დაურიგა ყველა მუშებს სპეცტანსაცმელები. ამასთანავე სამჭედლო ცეხში უნდა მიეცათ ცხელ ქურაზედ მომუშავეთათვის წინსაფრებიც. მაგრამ საუბედუროდ ეს აგრე არ მოხდა პირიქით, ვისაც ძველი მიღებული ჰქონდა, იმასაც ჩამოართვეს.

საჭიროა ეს ნაკლი გამოასწოროს პროფკავშირმა.

მუშკორი გოგი რუხაძე.

სად. სოღანლუღი.

(რკ. გზის საუბნო კავშირის საყურადღებოდ).

სადგურ სოღანლუღს აქვს ერთი პატარა ზალა, სადაც მატარებლის მომლოდინე ხალხი თავს იყრის. ამ ზალაში არ მოიპოვება არც ერთი დასაჯდომი სკამი, სისუფთავე სრულებით არ არის დაცული, ხალხი იძულებული ხდება მტვერიან იატაკზე „იხოხოს". აგრეთვე სადგურის უფროსს ჰყავს მოზრდილი ძაღლი და მიმოსვლის დროს თუ მარჯვედ არ იქნება ადამიანი, მოელის ამ ძაღლისგან დაკბენა. სადგურის უფროსი ასეთ დაუშვებელ მოვლენას ყურადღებას არ აქცევს.

საჭიროა მიღებულ იქნას სათანადო ზომები, ვისგანაც ჯერ არს, რომ საჩქაროდ მოაშორონ ეს ძაღლი სადგურს, დაცულ იქნეს სისუფთავე და ზალაში ერთი გრძელი სკამი მაინც დაიდგას. სადგურის უფროსს კი მოეთხოვოს პასუხი სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობისათვის.

ე. ყვირილიანი.

რკინისგზელთა ქრონიკა

— **ჯილდოს გაცემის შესახებ.** ა. | კ. რკ. გზ. პროფკავშირის პრეზიდიუმმა მიანდო ამავე პროფკავშირების ეკონომიურ განყოფილებას გაარჩიოს რკინისგზელების განცხადებები ჯილდოს გაცემის შესახებ და შესაფერი დასკვნით გადაგზავნოს რკინისგზის სამმართველოში.

— **საკლუბო მუშაობის შესასწავლად.** საკლუბო მუშაობის შესასწავლად მოსკოვში გაიგზავნა ა. | კ. რკ. გზ. პროფკავშირისაგან ერთი კაცი.

— **აღრიცხვის გადასინჯვა.** ა. | კ. რკინ.-გზ. პროფკავშირის ორგანიზ. განყოფილება შეუდგა რკინისგზელთა ხელახალ აღრიცხვების გადასინჯვას.

— **ვაგონ-ბიბლიოთეკების შეკეთება.** ა. | კ. რკ.-გზათა პროფკავშირმა მოსთხოვა ა. | კ. რკ. გზ. სამმართველოს შეაკეთოს 2 ვაგონი-ბიბლიოთეკა, რომლებიც ეხლა ძლიერ დაზიანებულნი არიან.

კიდევ ორი ვაგონი. ა. | კ. რკ.-გზ. პროფკავშირის დავალებით ამხ. **კოლოხოვი** თხოულობს მოსკოვში ა. | კ. რკ.-გზის ხაზისათვის კიდევ ორ ვაგონ-ბიბლიოთეკას.

— **როიალი კლუბისათვის.** ა. | კ. რკ.-გზელთა პროფკავშირმა თბილისის საუბნო რკ.-გზ.-თა პროფკავშირს გასცა 300 მანეთი ამხ. **ს. ორჯონიკიძის** სახ. კლუბისთვის როიალის შესაძენათ.

— **შენობა ორთქლმავალთა ბრიგადებისათვის.** ა. | კ. რკ.-გზ-თა პროფკავშირმა საჭიროდ სცნო, რათა შენობა, რომელიც ეჭირა საქართველოს გასაბჭოებამდე ორთქლმავალთა ბრიგადებს, გადავიდეს ამავე ბრიგადების ხელში.

— **სამარცხვინო საქმისათვის.** ა. | კ. რკ.-გზ-თა პროფკავშირმა გამორიცხა კავშირიდგან სპირტით ვაჭრობისათვის და მატარებელზე გადაზიდვისათვის შემდეგი პირები: **შარაშენიძე, გრიგორიევი და რადიშჩევი.**

— **საცხოვრებელ ვაგონების დასათვალიერებლად.** ასტალაში მყოფ ავადმყოფ-მუშებისათვის საცხოვრებლად მიჩნეულ სამი ვაგონის დასათვალიერებლად ა. | კ. დამზ. სალარომ გაგზავნა თავისი თანამშრომელი.

— **ტალახის სამკურნალოების გასაფართოებლად.** ა. | კ. რკ.-გზ-თა დამზღ. სალარომ გასცა ა. | კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილებას ტალახის სამკურნალოების შესაკეთებლად და გასაფართოებლად 6 ათასი მანეთი.

ინფ. ა—ძე.

სამწუხაროდ ამ კოოპერატივს ერთი ნაკლიც აქვს; მასში არ სწარმოებს არავითარი წიგნები, არ იყიდება საქონელი ჩეკებით. არ იწერება კანონიერად ყოველ-დღიური შემოსავალ-გასავალი და სხვა. საჭიროა დაუყოვნებლივ ამ ნაკლის გამოსწორება.

ვ. მაჭარულელი.

ფოთი

ფოთს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხე-ტყის წარმოებაში.

აქ მუშაობს მხერხავი მანქანები, არსებობს სატყეო „ტრესტი", რომელსაც აქვს აუარებელი მასალები, ყველაფერი ამას კი ხელს უწყობს სამეგრელო-გურიის ტყეები, რომლითაც ქ. ფოთი გარშემორტყმულია და საიდანაც მდინარე რიონზე და პალიასტომ-კაპარჭინით ჩამოაქვთ დიდ ძალი ტყე და შეშა.

აქ სხვათა შორის დიდი მოთხოვნილებაა ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან, განსაკუთრებით შეშის, წნელის და სხვა საოჯახო მასალებისა, ვინაიდან ფოთის ფარგლებში არავის არა აქვს მიკუთვნილი „ბუჩქნარი"-ს ადგილი, საიდანაც შეიძლებოდეს შეშით და წნელით სარგებლობა.

იმ ხანებში, როდესაც ფოთში არსებობდა რაიონული ხე-ტყის (სალესნიჩო) განყოფილება, მცხოვრებლები შედარებით „შეღავათიანად" იძენდენ ტყით სარგებლობის ნებართვას და თავის ხარ-კამეჩით, ნავით და ბაიდით მოიტანდნენ სახლში, მაგრამ მას შემდეგ, რაც სალესნიჩოს შტატი მთელი შემადგენლობით მოიხსნა და გადატანილ იქნა ახალ-სენაკში, უხერხული მდგომარეობა და მძიმე პირობები შეიქნა.

ფოთში ამ ჟამად დატოვებულია მხოლოდ ტყის დარაჯთა პერსონალი.

ყველა მომხმარებელს ძალიან ცოტა შეშა თუ წნელიც რომ სჭირდებოდეს, იგი ნებართვისთვის უნდა გაემგზავროს ახალ-სენაკში და მგზავრობაში დახარჯოს ორ-სამ წილზე მეტი იმაზე, რასაც სატყეო მასალის ბაჟათ იხდის.

ყველაფერი ეს იწვევს მცხოვრებლების უკმაყოფილებას, განსაკუთრებით ქალაქის განაპირა ადგილებში.

ამ მტკივნეულ საკითხს უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

ვ.

სოფ. ახალქალაქი (გორის მაზრა)

კვირას, 20 ივლისს ადგილობრივ მილიციის სასარგებლოთ მსახიობ მეტრეველის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა 3 მოქ. დრამა „გამცემი". პიესა საერთოდ მწყობრად ჩატარდა, კარგი იყო შაქროს როლში მეტრეველი და სიკოს როლში ტ. გოზალოვი. წარმოდგენა კარგ შთაბეჭდილებას დასტოვებდა, რომ ხელი არ შეეშალა მოქ. მაღალოვს თავის უვარგის—ბალაგანურ „კუპლეტებით" და სცენაზე ცეკვით.

წარმოდგენის დაწყებამდე რაიონის ორგანიზატორმა ამხ. სიამაშვილმა მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას საერთოდ მუშურ-გლეხური მილიციის შესახებ.

არ შეიძლება გულის წყრომით არ აღვნიშნოთ შემდეგი: ბილეთების ფასები დადებული იყო 1 მანეთიდან 3 მანეთამდე. თავისთავად ცხადია რომ ასეთი ფასის გაღება არ შეუძლია არც ერთს ადგილობრივ გლეხს წორედ ამის შედეგი იყო, რომ კლუბის ეზოს გარშემო ეხვია ღარიბი გლეხობა, უმთავრესად ახალგაზრდობა, რომლებსაც უბილეთოდ ეზოში არ უშვებდნენ. ეზოში კი განსაკუთრებით ან ვაჭრული ან საავგარაკოდ მოსული ელემენტი იყო. ეს დაუშვებელია.

საღამოს მომწყობნი ალბათ თავს გაიმართლებენ იმითი, რომ წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით იყო გამართული, მაგრამ—„თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევაო" —ნათქვამია. განა არ შეიძლებოდა, რომ დიდფასიან ბილეთების გარდა იაფფასიანიც ყოფილიყო? ან და ისინი, ვისზედაც ზევით მოგახსენეთ, სრულიად უფასოდ ყოფილიყვნენ დაშვებულნი მით უმეტესი, რომ წარმოდგენა ცის ქვეშ იყო მოწყობილი და კლუბის ეზოში სცენის მიდამო კიდევ ერთ ათასამდე მაყურებელს დაიტევდა. იმედია შემდეგისათვის ასეთ ფაქტს ადგილი არ ექნება.

გედანი.

კურსანტები ს. ფონაში (შორაპნის მაზრა)

მე-21 სამხედრო სკოლის 42 ავადმყოფი კურსანტი იმყოფება დასასვენებლათ სოფ. ფონაში.

კურსანტები გაეცნობიან სოფლის ცხოვრებას, მეტად დაახლოებიან გლეხებს და მოსურნე არიან რაც შეიძლება მეტი წვლილი შეიტანონ სასოფლო-მეურნეობაში, მაგრამ ენის უცოდინარობა უშლის ხელს. საღამოობით ხშირათ იყრიან თავს სოფლის მუშები და კურსანტები, კითხულობენ გაზეთებს და შემდეგ უთარგმნიან. კურსანტებს უნათხოვრებიათ გუთანი გლეხებისთვის, რომლებიც დიდათ მადლიერი არიან მათი ინტერესების დამცველ წითელ-არმიელების.

ა. ც.

როგორ ესაუბრება ფოთელი მიწის მუშა წითელ-არმიელს

ამხ. შენ საიდან ხარ,—ეკითხება სოფლელი წითელარმიელს,—მე—გურიიდან. რამდენი, ხანია რომ ჯარში ხარ—ეხლა წამიყვანეს. კაი რამე ყოფილა ეს წითელი ჯარი, რავა ყველაფერი გისწავლიათ. მართლაც ნამდვილი მუშების დამცველი პარტია ყოფილან ეს კომუნისტები. ჩვენ უკვე დავრწმუნდით—კომუნის გარეშე არ არის ჩვენი ხსნა. ეხლა თითქმის უმრავლესობა გვეთანხმება. გვინდა კომუნალურათ მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება. მართალია ჩვენი მიწა მაინც და მაინც მოსავლიანი არ არის, მაგრამ ეს არ უარყოფს ამხ. შრომას. პირიქით, საერთო შრომით უფრო გავაუმჯობესებთ მუშაობის პირობებს. ჩვენ მდიდარი ვართ სათიბავი ადგილებით, პირველათ აქედან შეიძლება დავიწყოთ ამხ. მუშაობა. აგრეთვე კარგი მოსავალი იცის კართოფილმა, ლობიომ და ქერმა—ამ საქმეებს რომ მოვაწესრიგებდეთ, ჩვენ მაშინ დიდძალ საქონელს გავიტანთ ქალაქში და შემოვიტანთ ჩითს, ტილოს და სხვა.

წითელარმიელს მოსწონს მუშის აზრი და აღუთქვამს დახმარებას.

ა. ც—ია.

ს. მათხოჯის სახალხო სახლი (ქუთაისის მაზრა)

იშვიათია არა თუ სოფლებში, ქალაქებშიც კი ისეთი უზარმაზარი და შემკული სახალხო სახლი, როგორიც არის სოფ. მათხოჯში.

სოფ. მათხოჯის მშრომელი გლეხობის დიდი ხნის სურვილი მხოლოთ საქართველოს გასაბჭოების დღიდან განხორციელდა; ამ დროიდან დაიწყო მუშაობა ამ უზარმაზარ და მშვენიერ სახალხო სახლის აგება, რომელშიაც მოთავსებულ იქნება: ცხრა წლიანი შრომის სკოლა, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, აფთიაქი, საექიმო პუნქტი, კოოპერატივი და თეატრი. სახლის მახლობლათ მოეწყობა ელექტრო-სადგური. უსურვოთ ს. მათხოჯის სახალხო სახლის საამშენებლო კომისიას და მშრომელ გლეხობას დაემთავრებინოთ ეს საშვილიშვილო საქმე. დიდი მადლობის ღირსია კერძოდ ვარლამ ძიძიგური, რომელიც დიდ ენერგიას იჩენს ამ მნიშვნელოვან საქმის სასურველათ დამთავრებისათვის.

მათხოჯელი.

პროვინციის ფოსტა

დუშეთი. მათე გალაშვილს დაიბეჭდება,—მოგვაწოდეთ კიდევ.

ოზურგეთი. მ. კილაძეს. სწერეთ სუფთად და გარკვევით ქაღალდის მხოლოდ ცალ გვერდზე.

აბასთუმანი გ. კვირიკაძეს. არ დაიბეჭდება,—სუსტია.

ს. მაღლაკი. სამსონ მარჯანიშვილს. დაგვიანებულია.

ს. იანეთი. კ. მიქაძეს. არ წავა,—ახალს არაფერს შეიცავს.

ხონი. ბ. ფაღავას. თქვენი წერილები ზოგი დაიბეჭდა; დანარჩენებს, დაგვიანებისა და უადგილობის გამო, ვერ გამოვაქვეყნებთ.

წერილი რედაქციის მიმართ

ჩემს ლექსების წიგნში „ცეცხლის ხმებში" პირველ ლექსის ბოლოში შეპარულია შემდეგი კორექტურული შეცდომა: „რევოლიუციის უნდოდა დენდი" და „და იგი დენდიც მესტუმრა ღამე". უნდა იყოს ასე: „რევოლიუციის უნდოდა დენთი" „და იგი დენთიც აფეთქდა ღამე". აქ სიტყვა დენთი ნიშნავს თოფის წამალს. ლექსიც ამ აზრით იყო დაწერილი.

პეტრე სამსონიძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. 2 აგვისტო.

ერთდროულ აქციზის დაწესების შესახებ ყურძნის ღვინოზე ამიერ-კავკასიის ფედერაციის ქალაქებში.

ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 23 აპრილის დადგენილების № 41 (ს. ს. ა. კ. ს. ფ. რ. ს. 1923 წ., № 7, მუხ. 89) და ამიერ-კავკასიის ცაკის და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს იმავე წლის 27 სექტემბრის დადგენილების (ს. ს. ა. კ. ს. ფ. ს. რ. 1923 წ., № 11, მუხ. 195) დასამატებლათ და შესაცვლელათ, ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1) დატოვებული იქნეს ყურძნის ღვინის აღრიცხვა ქალაქებში: ტფილისში, ბაქოში, ერევანში, ბათომში, ფოთში, განჯაში და ლენინაკანში,—ამიერ-კავკასიის ყველა დანარჩენ ქალაქებში კი შემოღებული იქნეს ერთდროული აქციზი.

შენიშვნა: ღვინო, რომელიც შემოაქვთ აღნიშნულ ქალაქებში მუშებს და მოსამსახურეებს სოფლიდან საკუთარ საჭიროებისათვის ერთ ფუთამდი, განთავისუფლებულია აქციზისაგან.

2. ერთდროული აქციზი გადახდილი უნდა იქნეს ნახევარ წლიურათ წინდაწინ მაგარი სასმელებით ვაჭრობისათვის პატენტის აღების დროს.

3. ერთდროული აქციზის შესაგროვებლათ წესდება ადგილების 5 ხარისხი და აქციზის შემდეგი წლიური ნორმები:

ა) პირველ ხარისხში—200 მან., ბ) მეორე ხარისხში—160 მ., გ) მესამე ხარისხში—120 მან., დ) მეოთხე ხარისხში—80 მან., ე) მეხუთეში—40 მან.

4) ქალაქების და სოფლების ხარისხებათ დანაწილების უფლება ენიჭება ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარს.

5. ამ დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ ქალაქების გარეთ, ყველა ადგილებში, სადაც დაწესებულია ერთდროული აქციზი, მევენახე და მეღვინე გლეხებს უფლება ეძლევათ თავისუფლათ გაყიდონ წვრილ-წვრილათ თავისი ღვინოები, როგორც ვენახებში და სამოსახლო ადგილებში, ისე გატანით და გაზიდვით, (в развоз и в разнос).

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ს. ავზარტუმიანი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივნის მაგიერ ა. შავერდოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 6 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალური კლუბის საზაფხულო შენობაში შესდგება სადელეგატო კრება არსენალის რაიონის კომუჯრედების ბიუროების წევრების და მდივნების თანადასწრებით.

დღის წესრიგი:

1. საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის მოხსენება.
2. ანკეტების დამტკიცება.

სავალდებულოა ყველა დელეგატების, მდივნების და უჯრედების ბიუროების წევრთა დასწრება

მდივნის მაგიერ: მელაძე.

— ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 6 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი რაიკომის წევრებთან ერთად.

დღის წესრიგში დასმულია მოხსენება ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის სრულიად საკავშირო ყრილობის შედეგების შესახებ.

სავალდებულოა გამოცხადება დაუგვიანებლად.

თბილისის კომიტეტის მდივანი: მეტონიძე.

— დღეს, 6 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის თეატრში შესდგება ლენინის რაიონის წევრების და კანდიდატების საერთო—რაიონული პარტიული კრება.

დღის წესრიგი:

ამხ. კახიანის მოხსენება კომინტერნის 5-ე კონგრესის შესახებ.

ლენინის რაიკომის მდივნის მაგიერ: ფანცულაია.

განცხადებები

ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის საგანგებო სამმართველოს კანტორა

აცხადებს

15 აგვისტოს 12 საათისთვის დაბეჭდილ კონვერტებში განცხადების მიცემის საშუალებით დაინიშნება საჯარო ვაჭრობა შენობების: თავლის და საწყობის ასაშენებლათ ჭიათურაში. განცხადებები მიიღება ჭიათურის კანტორაში ყოველ დღე. მისაღები დღეები 12-დან 2-დის 14 აგვისტომდის, იქვე შეიძლება მიიღოთ ყველა აუცილებელი საჭირო ცნობები.

ნ. 1382 2—2

საკითხის საბინაო გადაწყვეტას
უნდა დაეხმარონ
თვით მშრომელები!

„ქალაქი-ბაღი"

რაიონ „ვაკე"-ში (ყოფ. სასულიერო სემინარია) და სოფელ წყნეთში
ეწყობა
2.000 ახალშენი 10.000 კაცისათვის
მიწები ეძლევა ყველა მსურველებს, პირველ რიგში მუშებს და მოსამსახურეებს, 49 წლით ჩაწერის მიხედვით

— არჩევით —

ცნობების მიღება შეიძლება კოოპერატიულ საამშენებლო საზოგადოების „სადგორ"-ის კანტორაში ყოველდღე 10—2 საათამდი და საღამოს 5—7 საათამდე.

თავისუფლების მოედანი, ძმ. თამამშევების ყოფ. ქარვასლა (ყ. ინჟ. ერმოლენკო) ტელ. 18—04. ნ. 1389 1—1

გამოვიდა
ტერენტი გრანელის წიგნი
MEMENTO MORI
იყიდება ყველგან. 1—1

6 აგვისტოს, ოთხშაბათს, საღამოს სრულ 7 საათზე
ალმასკომის დარბაზში შესდგება ვაკეზე
„ბაღი-ქალაქის" № 1 საამშენებლო ამხანაგობის
საზოგადო კრება

ყველა წევრთათვის დასწრება სავალდებულოა; წევრათ ითვლება ის, ვისაც სავსებით შამოუტანია ხვედრი ფული.

1642 1—1 გამგეობა.

თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის [illegible]
ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ სახელმწ. კონსერვატორიის [illegible]
ხელმწ. სათეატრო ინსტიტუტის რეორგანიზაციის [illegible] და
[illegible] იარსებებს გაერთიანებული

საქ. ს. ს. რ. სახელმწ. [illegible]
კონსერვატორია, დრამატიული და საოპერო სტუდი

სახ. კონსერვატორიის და სახ. სათეატრო ინსტიტუტის ყო
წაფეებმა და კონსერვატორიაში თუ დრამატ. სტუდიაში ახლად
ლეებმა უნდა შემოიტანონ წერილობითი განცხადება კონსერვატორიის რექ-
ტორის სახელზე არა უგვიანეს ამა წლის 15 სექტემბრისა; განც
უნდა იყოს ნაჩვენებში, რა სპეციალობა სურთ შეისწავლონ და
თონ; 1. მეტრიკული მოწმობა, 2. განათლების მოწმობა და 3,
ხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების დოკუმენტი.
მიღება მოხდება გამოცდით. გამოცდაზე ყველანი უნდა გამო
ნენ 20 სექტემბერს, კონსერვატორიის შენობაში.
დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება კონს. კანტორა
მელიც ღია არის 1 ენკენისთვემდის ოთხშაბათობით და ხუთშ
9—12 ს. ხოლო 1 ენკენისთვიდან ყოველდღე.
ნ. 1377 3—3. სახელმწ. კონსერვატორიის ადმინისტრა

ექიმ სოკლეტის, ვამბრტეს, შმიდტის და ბილის
კეფირი
გამოკვლ მიხედვით პრეირ
ლიმსკის და მენფელდის ცდების თანახმად
ხელს უწყობს წონაში მატებას, ითვლება საუკეთესო საშუალებად
ნაკლულოვანების, კუჭის კატარის, ფილტვის ტუბერკულოზის
საერთო სისუსტის დროს
მიმართეთ თქვენს ექიმს და ის დაგინიშნავთ კეფირის
რი ნორმა უნდა დალიოთ თქვენი ჯანმრთელობის აღსად
მისამართი: ლორის-მელიქოვის ქ. № 6 ი. კორონას ლაბორა
კავშირის წევრებს ეძლევათ განსაკუთრებული შეღ
განყოფილება ფუნიკულიორზე და აბასთუმანში
10—4 ნ. 1

მათემატიკის მასწავლებელი ამზ
შემოდგომის გამოცდებზე არითმეტიკაში
ალგებრაში, ტრიგონომეტრი
გეომეტრიაში, ფიზიკაში უმაღლეს სასწავლ. ტეხნიკუმში,
სკოლაში, მუშფაკზე, საღამოს საშუალო და საბუღალტერო კურ
სასვლელად. ნახვა 9—1 ს. და 3—7 საათამდე.
პლეხანოვის ქუჩა № 25 შესავალი ალექსის ქუჩიდან
2—2 № 1634

შავი-ქვის მრეწველობის განგეობა
სამმართველო
იწვევს მსურველებს აიღონ თავის
ელექტრონის განათების მოწყობა
მაღაროში ჭიათურაში ელექტ
სადგურის მოწყობით (მრავა „დვიგ
ლი" უკვე არის) მალით 20
წერილობითი განცხადებები მიიღება და ცნო
ცემა შეიძლება საგანგებო სამმართველოს
რიაში (ტროცკის ქ. № 20,) ყოველდღე.
დღეები 12—2 საათამდის 15 აგვისტომდე.
ნ. 139

საქართველოს სახალხო კომისართა საბ
სამეურნეო-ადმინისტრატიულ განყოფილებას
არსებული კომისია ამით აცხადებს,
რომ 7 აგვისტოს, დილის 11 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
15 ცალ სხვადასხვა სისტემის მ
ბუქ მანქანების (ავტომობილების) გასაყ
მანქანების გასინჯვა შეიძლება ყოველდღე სახალხო კომ
საბჭოს სასახლის ეზოში, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის
თამდე.
შესავალი სასახლის კომენდატურის კარებიდან.
სახ. კომისართა საბჭო სამნეო განყოფილების
ნ. 1370 5—5 გამგე—კ. მირიმანო

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ
ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძ
ბით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი, გულისა და ჭლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციებ
ბა—შეზხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფი
ლება და წამლობა
რენტგენის სხივებით
დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23
1562

დაკარგა პირადობის მოწმობა აღებული მილიციის სა
დან და რეგისტრაცის ფურცელი მე-7-ე
ლიციის სამართველოდან. ერმილე იოსების ძე მუსერიძის სახე
ვალოს გაუქმებულად. 164

დაკარგა შრომის ბირჟის წიგნაკი ვასასი გაბესკირია
ჩაითვალოს გაუქმებულად. 163

დაკარგა პირადობის მოწმობა № 16445 მოცემული
უფროსისაგან, პარტიული ბილეთი № 4992
ლი პირველ რაიკომიდან, სამხედრო მოწმობა № 40 და ნავთ
ციები: ივნისის № 26841, ივლისის № 27969, სოლომონ ტაბ
ხელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1641

დაკარგა პირადობის მოწმობა, რაჭის მაზრის
თემის აღმასკომის მიერ მოცემული № 105
ლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 16

დაკარგა მეტრიკული მოწმობა ელიზბარ ჯაფარიძის
1186. ჩაითვალოს გაუქმებულად. 16

ტირაჟი—13.000

სტამბა „ზარია ვოსტოკის", საშა წულუკიძის ქუჩა № 4.